ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 29 ოქტომბერი, 2018 №256 (7801) ფასი: 60 თეთრი

რატომ არ ჩატარდა არჩევნები თუშეთში

– ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ და ჩვენც გვინდოდა, ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი მოგვეხადა, – განუცხადეს თუშებმა „ახალ თაობას“.

გვ.4

ეგზიტპოლი: 40% – გრიგოლ ვაშაძეს, 40% – სალომე ზურაბიშვილს

არჩევნების მეორე ტური დაინიშნება?!

გვ.2

„ოპოზიცია აუცილებლად დაიცავს არჩევნების შედეგებს“

„შენ ივანიშვილის კაცი ხომ არა ხარ?! რასაც გეტყვი, ის დაწერე, არ მომწონს ეს მთავრობა“

გვ.3

„ჩემი ქვეყნისა და ხალხის შესაბამისი პრეზიდენტი მინდა“

გვ.4

სამართალი

გვ.7



8 წლის გოგონას მკვლელობაში ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა

ზაზა სარალიძე გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

მარნეულში ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან ინციდენტის გამო 2 პირი დააკავეს

ეკონომიკა

გვ.6

გიორგი კვირიკაშვილი: „ჩემთვის მნიშვნელოვანია, მოსახლეობამ იცოდეს, რომ მათი პრემიერ-მინისტრი პრემიერმინისტრობის პერიოდში არ გამდიდრებულა“

ნატო ჩხეიძე: „ფინანსთა სამინისტრომ ხისტი მიდგომებით გააკეთა ცუდი, ახლა გააკეთა უკეთესი“

გვ.5

ვახტანგ ჭარაია: „ლარის გაუფასურების ობიექტური მიზეზები არ არსებობს“

გვ.6

სარესტორნო ბიზნესის წარმომადგენლები დახმარებას ითხოვენ

გვ.5

ISSN 1987-9385

5 შალვა ნათელაშვილი ეგზიტპოლების შედეგებს არ ენდობა

5 ამომრჩეველი: „კანდიდატებმა ისე დაბდღვნეს ერთმანეთი, რომ ხალხი დააშინეს“

7 დათა ვანიშვილი ხმის მისაცემად მავთულხლართებზე გადმოიპარა

6 11 „სამთავრობო აგარაკი“, რომელთა ღირებულება 31 მლნ ლარია, სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება

ეგზიტპოლი: 40% — გრიგოლ ვაშაძეს, 40% — სალომე ზურაბიშვილს

არჩევნების მეორე ტური დაინიშნება?!

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 28 ოქტომბერს, სრულიად საქართველოს ყურადღება საარჩევნო უბნებისკენ იყო მიმართული. საქართველოს მოსახლეობა პირდაპირი წესით ბოლოჯერ ირჩევდა პრეზიდენტს და, წესით, ამომრჩეველი ძალიან აქტიურად უნდა ყოფილიყო.

ამომრჩეველს აქტიურობისკენ პოლიტიკური პარტიებიც მოუწოდებდნენ, მაგრამ მოწოდებებმა არ გაჭრა, ქართველი ამომრჩევლის ადგილიდან დაძვრა ადვილი საქმე არ არის.

არჩევნების წინა პერიოდი საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. პოლიტიკოსებმა არც ფარული ჩანაწერები დაგვამადლეს და საკმაოდ გაგვიხალისეს ცხოვრება.

ამ ფარული ჩანაწერებისა და წინასაარჩევნო მოწოდებებიდან გამომდინარე, ცხელი არჩევნები უნდა გვქონოდა. პოლიტიკური ტემპერატურა მართლა მაღალი იყო, მაგრამ ერს ამაზე უარესი და მძიმე არჩევნებიც უნახავს.

პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა, წინა არჩევნების მსგავსად, კვლავ გაგვანებივრეს პროგნოზებით. გაგიკვირდებათ და პროგნოზები ამჯერად გასაოცრად ზუსტი აღმოჩნდა.

ექსპერტების დიდი ნაწილი ვარაუდობდა, რომ საქმე მეორე ტურამდე მივიდოდა. მათივე გათვლებით,პირველ სამ ადგილზე სალომე ზურაბიშვილი, გრიგოლ ვაშაძე და დავით ბაქრაძე გავიდოდნენ.

არჩევნებში გამარჯვებას ეგზიტპოლების გამოცხადების შემდეგ ზეიმობენ ხოლმე. ნაციონალებმა და „ქართულმა ოცნებამ“ დღის სამი საათიდან დაიწყეს იმის მტკიცება, რომ მათი კანდიდატი იგებდა არჩევნებს.

ეგზიტპოლების შედეგები საარჩევნო უბნების დახურვისთანავე გამოცხადდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნაციონალების დაკვეთით ჩატარებული ეგზიტპოლები „ოცნების“ ეგზიტპოლებისგან განსხვავდებოდა.

„ქართული ოცნების“ მიერ „ფსიქოპროექტისთვის“ შეკვეთილი ეგზიტპოლის მიხედვით შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა მიიღო ხმების 52%; გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ – 28,1%; „ევროპული საქართველოს“ კანდიდატმა დავით ბაქრაძემ – 9,2%; მეოთხე ადგილზე გავიდა „გირჩის“ კანდიდატი ზურაბ ჯაფარიძე 3,3%-ით; მეხუთეზე „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატი შალვა ნათელაშვილი – 3,1%.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ „ედისონ რისერჩისთვის“ შეკვეთილი ეგზიტპოლების შედეგების მიხედვით 16:00 საათისთვის მაჩვენებლები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილმა დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა მიიღო ხმების 40%; გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშიას“ საპრეზიდენტო კანდიდატმა გრიგოლ ვაშაძემ – 40%; „ევროპული საქართველოს“ კანდიდატმა დავით ბაქრაძემ – 10%; „ლეიბორისტული პარტიის“ კანდიდატმა შალვა ნათელაშვილმა – 3%; „თავისუფალი დემოკრატების“ კანდიდატმა დავით უსუფაშვილმა – 2%.

ეგზიტპოლების შედეგებს განსხვავებულად გამოეხმაურნენ „ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. გაერთიანებული ოპოზიცია მეორე ტურზე ალაპარაკდა, „ოცნებამ“ კი მოგუდულად გამოაცხადა სალომე ზურაბიშვილი გამარჯვებულად.

მეორე ტურზე ალაპარაკდა დავით ბაქრაძეც. მან დამარცხება აღიარა და ამომრჩეველს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მან ის კანდიდატიც დაასახელა, რომელსაც „ევროპული საქართველო“ მეორე ტურში დაუჭერს მხარს.

– ეგზიტპოლების შედეგები საკმარისად აჩვენებს სურათს იმისთვის, რომ რამდენიმე დასკვნა გავაკეთოთ. პირველი გახლავთ ის, რომ ჩვენ ვიბრძოდით გამარჯვებისთვის, თუმცა ამ არჩევნებზე ამის მიღწევა, როგორც ჩანს, ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გავზარდეთ ჩვენი მხარდამჭერების ბაზა, ეს ხმები არ აღმოჩნდა საკმარისი, რაშიც ალბათ თავისი როლი ითამაშა ქვეყანაში არსებულმა რადიკალიზაციამ და ბევრმა სხვა ფაქტორმა.

მე მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო თითოეულ მხარდამჭერს და ვუთხრა, რომ ჩვენი ბრძოლა გაგრძელდება. მაგრამ ჩვენს ბრძოლას ჰქონდა მეორე კომპონენტიც, რომელიც შეეხება საერთო ოპოზიციურ ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი და რუსთავი 2-ის კვლევა ადასტურებს იმას, რომ იქნება მეორე ტური და ოპოზიციას გააჩნია რეალური შანსი, გაიმარჯვოს მეორე ტურში. ეს იყო ჩვენი ამოცანის მეორე ნაწილი, რომ არ მიგვეცა სალომე ზურაბიშვილისთვის გამარჯვების საშუალება, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მან მხარდამჭერებსა და კომისიის წევრებს ოპოზიციის ხმების დაცვისკენ მოუწოდა.

– თუ დაჯდება სურათი, რომელიც გვაჩვენა ეგზიტპოლმა და მეორე ტურში გავა ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე, ჩვენ მას დავუჭერთ მხარს და მოვუწოდებ ჩვენს მხარდამჭერებს, დაუჭირონ მას მხარი, – აღნიშნა ბაქრაძემ.

ეგზიტპოლის შედეგებს გამოეხმაურა გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე:

– მას შემდეგ, რაც მოვუსმინეთ ათასობით საქართველოს მოქალაქეებს, ჩვენ ვიყავით დარწმუნებული, რომ თუ ხელისუფლება აირჩევს ნორმალურად არჩევნების ჩატარების გზას, ჩვენ მოვიგებდით პირველ ტურში, მაგრამ გამოცდილი შულერები არიან, დარწმუნებული იყავით, მეორე ტურსაც მოვიგებთ, ისევე კანონმორჩილად, როგორც ამას ვაკეთებდით, შემატყობინეს, რომ „ევროპული საქართველო“ მხარს გვიჭერს, მადლობა, „ქართული ოცნება“ უნდა დარწმუნდეს და დაიჯეროს, რომ მათ საათზე 12-ს აკლია ერთი წუთი, არაფერი განსხვავება არ არის ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, ორივე არის ქვეყნის ხელისუფლება, მათ არც საზოგადოება აინტერესებთ, არც თავისუფლება და არც დემოკრატიული სტანდარტების არჩევნები, არც ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალი.

„ოპოზიცია აუცილებლად დაიცავს არჩევნების შედეგებს“

პატიოსან სიტყვას გაძლევთ, გაორმაგებული იქნება მეორე ტურის შემთხვევაში ყველაფერი. ყველას სჯერა უკვე გამარჯვების, საქართველოში პოზიტიური ცვლილებები მომწიფდა, – განაცხადა გრიგოლ ვაშაძემ.

საარჩევნო უბნების დახურვის შემდეგ „შენების მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატმა დავით უსუფაშვილმა გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ქვეყანა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის მოლოდინში იქნება:

– საქართველოში დასრულდა საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭისყრა. ეგზიტპოლების შედეგებით დასკვნებს არ ვაკეთებთ, თუმცა, დარწმუნებული ვარ, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებში იქნება მეორე ტური, იქნებიან სალომე ზურაბიშვილი და გრიგოლ ვაშაძე, იქნება ბრძოლა მეორე და პირველი ადგილისთვის, დაიცავით კანონი და იმოქმედეთ კანონის დაცვით. ხელისუფლების მხრიდან უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ამომრჩეველთა ხმების დაცვა, დღეს ელექტორატმა პროტესტი გამოუცხადა „ქართულ ოცნებას“ ამ პროცესში მეორე ტურში, როგორც ჩანს, კატამ თხარა, თხარაო და თაგვი გამოთხარაო, არაა სწორი ყველგან თხრა. უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ბრძოლა, დაველოდებით არჩევნების შედეგებს, მოვძებნით ყველა იმ ამომრჩეველს, რომელმაც მოგვცა ხმა, მოვძებნით და საქართველოს გავიყვანთ ფონს, ახლა უპირველესი ამოცანაა, ხელისუფლებას არ წაუცდეს ხელი ფარდობითი უპირატესობის მოპოვებისთვის. ეს არის ის სავალალო ვითარება, სადამდეც ბიძინა ივანიშვილმა ეს ქვეყანა მიიყვანა, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

არჩევნების დასრულების შემდეგ განცხადება გააკეთა ქვეყნის მთავარმა მეოცნებემ ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით, ნაციონალური მოძრაობა ექსცესებს გეგმავს. ეგზიტპოლის შედეგები ადასტურებს, რომ სალომე ზურაბიშვილი ახლოს არის გამარჯვებასთან, თუმცა აღნიშნავს, რომ სჯობს დაველოდოთ ცესკო-ს საბოლოო შედეგებს.

– ველოდით ამ შედეგს, ჩვენ მუდამ ვაცხადებდით 53-54%-ს და ახლოს ვართ ეგზიტპოლის შედეგებთან, თუმცა ეს ეგზიტპოლია, დაველოდოთ ცესკო-ს საბოლოო შედეგებს. ნაციონალური მოძრაობა ექსცესებს გეგმავს, თუმცა მობილიზებულია პოლიცია და შესაბამისი სახელმწიფო უწყებები. მე მგონია, რომ ვერაფერს შეძლებენ, თუმცა ეს განცდა სულ აქვს ნაციონალურ მოძრაობას, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მეორე ტურზე საუბრობდა გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი მურმან დუმბაძე. მან ინტერპრესნიუსს განუცხადა, რომ მეორე ტურში გრიგოლ ვაშაძე უპირობო ფავორიტი იქნება.

– დადასტურებით, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებს მეორე ტური ახლავს. მეორე ტურში სალომე ზურაბიშვილი და გრიგოლ ვაშაძე გადიან. მეორე ტურში გაძლევთ აბსოლუტურ გარანტიას, რომ ოპოზიციური სპექტრის ყველა პოლიტიკური პარტიის, ყველას ხმები შეიკრიბება, გრიგოლ ვაშაძე უპირობო ფავორიტი იქნება და ის გახდება საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი, – აღნიშნა მურმან დუმბაძემ.

არჩევნების მიმდინარეობისას რამდენჯერმე გააკეთა განცხადება საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. ის გამუდმებით დამაჯერებელ გამარჯვებაზე საუბრობდა.

ეგზიტპოლების შედეგების გამოცხადების შემდეგ მან პირობა დადო, რომ ოპოზიცია თავის ხმებს ბოლომდე დაიცავს.

– თქვენ ნახეთ „ედისონ რისერჩის“ ეგზიტპოლის შედეგები, რომლის თანახმადაც, 40% აქვს ვაშაძეს და 40% – სალომე ზურაბიშვილს. უნდა დაინიშნოს მეორე ტური. მე მაქვს დიდი გამოცდილება წინა წლების, როცა კვლევებისას ხელისუფლების წარმომადგენელი სვამს კითხვას, ხალხი ტყუის და მეტი ეუბნება ხელისუფლებას, მხარს გიჭერთო, ვიდრე ეუბნება ოპოზიციას.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„შენ ივანიშვილის კაცი ხომ არა ხარ?! რასაც გეტყვი, ის დაწერე, არ მომწონს ეს მთავრობა“

ნონა ცაბაძე

გუშინ მთელი ქვეყნის მასშტაბით საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ეს იყო ბოლო არჩევნები, როდესაც მოსახლეობა პირდაპირი წესით ირჩევს ქვეყნის პრეზიდენტს.

„ახალი თაობა“ დილიდან აკვირდებოდა არჩევნებს სხვადასხვა უბანზე. დღის პირველ ნახევარში უბნებზე ძალიან დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. არჩევნები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. ყველაზე მეტად არჩევნების დროს თვალშისაცემი იყო სიებით მობილიზებული ე.წ. კოორდინატორები, რომლებიც უბნების შორიახლოს იდგნენ მთელი დღის განმავლობაში. უმრავლესობა იყო ავტომობილებით და აქტიურად მიდიოდა სიების გადამოწმება.

ჩვენ შევესწარით ორი კოორდინატორის საუბარს:

– დილიდან აქ ვარ. სიაში ვინც მყავდა, უმრავლესობა უკვე მოსულია, ვინც არ მოვიდა, მათთანაც დარეკილი მაქვს და დღის პირველ ნახევარში ყველა მოვა. ყველა ჩვენ სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს. შენთან რა ხდება?

– ჩემთან არ არის დიდი აქტიურობა. ჯერ დილაა, წესით, ყველა უნდა მოვიდეს, დილიდან ყველგან დავრეკე და გადავამოწმე. ნელ-ნელა მოდიან.

ჩვენ მიერ დასმული კითხვის გამო, თუ რომელ პარტიას წარმოადგენდნენ ეს ქალბატონები, მათი რისხვა დავიმსახურეთ:

– თქვენ თვითონ ვინ ბრძანდებით?!

– მე ჟურნალისტი ვარ და მაინტერესებს, რა სიები გაქვთ?

– თქვენი საქმე არ არის, ჩვენ რა სიები გვაქვს. რატომ ერევით ჩვენს საქმეში, რატომ ფიქრობთ, რომ ეს სიები მაინცდამაინც არჩევნებს უკავშირდება?!

– დილიდან საარჩევნო უბანთან ხართ და პლუს-მინუსებს წერთ...

– შეგვეშვი და თქვენს საქმეს მიხედეთ!

79-ე, მე-80, 81-ე და 82-ე უბნებზე დღის 12 საათისთვის ამომრჩეველთა 6-7% მივიდა. ყველა უბნის თავმჯდომარე ჩვენთან საუბარში აცხადებდა, რომ, წინა წელთან შედარებით, გულისხმობდნენ მერის არჩევნებს, აქტივობა საკმაოდ დაბალი იყო. თუმცა პროცესი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა და დღის პირველ ნახევარში არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა.

იათამზე წილოსანი, 82-ე საარჩევნო უბნის თავმჯდომარე:

– რა ვითარებაა ამ კონკრეტულ უბანზე?

– დილიდან მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს არჩევნები. არანაირი დარღვევა ჩვენთან არ დაფიქსირებულა. ერთი ოქმიც კი არ დაწერილა ჩვენს უბანზე.

– რამდენი ამომრჩეველი გყავთ უბანზე?

– 1458 ამომრჩეველია.

– რა რაოდენობა მოვიდა?

– დაბალი აქტივობაა. იმედია, დღის მეორე ნახევარში უფრო გააქტიურდებიან.

უბნებზე რომ სიმშვიდე იყო, ამას ადასტურებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებიც.

მორის მორჩილაძე, საქართველოს პარლამენტართა საზოგადოება:

– დილის 8 საათზე სრული წესების დაცვით გაიხსნა საარჩევნო უბანი. არჩევნები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. აქტივობა დღის პირველ ნახევარში გაცილებით დაბალი იყო. 11 საათისთვის მხოლოდ 87 ამომრჩეველი იყო მოსული. ახლა მეტი აქტივობა შეინიშნება. იმედი გვაქვს, ყველაფერი მშვიდ ვითარებაში ჩაივლის.

ჩვენ ამომრჩეველსაც გავესაუბრეთ იმის დასადგენად, თუ რა განწყობა იყო საზოგადოებაში და რა არჩევანი გააკეთეს მათ.

ნათელა, 76 წლის:

– რა განწყობით მოხვედით არჩევნებზე?

– არ დაგიმალავთ და პირდაპირ გეტყვით, დავით ბაქრაძეს მივეცი ხმა. ამდენი წელი გავიდა და ამ მთავრობისგან რა ხეირი ვნახეთ. პენსიონერი ვარ და ჩემი პენსია წამლებში არ მყოფნის. სხვა აღარაფერი გვინდა?!

– ბაქრაძეს რატომ მიეცით ხმა, მაღალ პენსიას რომ შეგპირდათ?

– აღალი კაცია, მჯერა, რომ რასაც გვპირდება, შეასრულებს.

ნინო, 52 წლის:

– გავაკეთე ჩემი არჩევანი. განწყობაც იმედიანი მაქვს, მჯერა, რომ მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. იმედია, ყველაფერი მშვიდობიანად ჩაივლის და ღირსეული კანდიდატი გაიმარჯვებს.

– როგორ ფიქრობთ, ვინ გაიმარჯვებს?

– ეს ჯერ არავინ იცის. რა თქმა უნდა, მე მსურს, რომ ჩემმა რჩეულმა გაიმარჯვოს.

– მეორე ტური იქნება?

– ძალიან დაბალი აქტივობაა. ძნელი სათქმელია. ალბათ 50/50-ზე.

ილერი ცირეკიძე, 68 წლის:

– გააკეთეთ უკვე თქვენი არჩევანი?

– გავაკეთე და სალომე ზურაბიშვილი შემოვხაზე, დანარჩენებს მოვუხაზე. კიდევ რა გაინტერესებთ?!

– რატომ გააკეთეთ მასზე არჩევანი?

– იმიტომ, რომ სხვებს არ ვენდობი. სააკაშვილებს ვერ ვენდობი. დანარჩენი ყველა ერთი ოხერია. გაიშალნენ, დაიშალნენ და ამ დროს ყველას გვარი მაინც სააკაშვილია. ესენი ვერ შეიცვლებიან, რაც იყვნენ, ისეთებად დარჩნენ.

ნატო, 47 წლის:

– როგორი განწყობა გაქვთ?

– რომ გითხრათ, კარგი და იმედიანი-

სალომე ზურაბიშვილი შემოვხაზე, დანარჩენებს მოვუხაზე. კიდევ რა გაინტერესებთ?!

მეთქი, მოგატყუებთ. ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის. გავაკეთე ჩემი არჩევანი, თუმცა არ გაგიმხელთ, ვის სასარგებლოდ.

ნატო ნიკოლეიშვილი, 81-ე საარჩევნო უბნის თავმჯდომარე:

– ჩემს უბანზე სრული სიმშვიდეა. დილიდან არჩევნები დარღვევების გარეშე მიმდინარეობს.

– რამდენი ამომრჩეველია თქვენს უბანზე?

– 1.384 ამომრჩეველია.

– როგორია აქტივობა?

– საშუალო. შარშანდელთან შედარებით მცირეა, მაგრამ ამომრჩეველი მაინც მოდის.

დამკვირვებლები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, რომ აქტივობა ძალიან დაბალია, რაც ქმნის იმის საშიშროებას, რომ ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბოს.

ნათია, დამკვირვებელი:

– არ აქტიურობს მოსახლეობა. რატომღაც არ თვლიან, რომ მნიშვნელოვანი არჩევნებია. უკვე რამდენისგან მოვისმინე დღეს, უუფლებო პრეზიდენტი გინდ აირჩიე, გინდა არაო. ხელფეხმოჭრილი პრეზიდენტი გვეყოლებაო. აი, ასეთი განწყობაა მოსახლეობაში.

ნუგზარი, 62 წლის:

– მეც გავაკეთე ჩემი არჩევანი.

– თუ საიდუმლო არ არის, ვის სასარგებლოდ?

– ეს ჩემი არჩევანია და ჩემთვის შევინახავ. ყოველ შემთხვევაში, ქვეყნის დამაქცევარი ნაციონალებისთვის ხმა არ მიმიცია. გაიძახიან, გაერთიანებული ოპოზიციაო და სინამდვილეში კი ეს სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობაა.

– რამდენად მნიშვნელოვანი არჩევნებია?

– მართალია, პრეზიდენტს ყველაფრის უფლება წაართვეს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია. სხვა თუ არაფერი, ბოლოჯერ ვირჩევთ ქვეყნის პრეზიდენტს. ყველამ უნდა მოიხადოს მოქალაქეობრივი ვალი და მოვიდეს არჩევნებზე.

ნანა დევდარიანი, 47 წლის:

– გააკეთეთ უკვე თქვენი არჩევანი და რა განწყობა გაქვთ?

– რა თქმა უნდა, გავაკეთე. ძალიან იმედიანად ვარ. მგონია, რომ ხმა მივეცი ქვეყნის სტაბილურობას, წინსვლასა და სიმშვიდეს. ჯერ წირვაზე ვიყავი, მერე არჩევნებზე წამოვედი და ალბათ, ღმერთის წყალობით, სწორი არჩევანიც გავაკეთე.

– რამდენად მნიშვნელოვანია ეს არჩევნები თქვენთვის? რატომღაც არ შეინიშნება ხალხმრავლობა.

– ძალიან მნიშვნელოვანია. მე ვფიქრობ, რომ მოსახლეობა საკმაოდ მობილიზებულია და ყველა გააკეთებს საკუთარ არჩევანს.

– ფიქრობთ, რომ ღირსეული კანდიდატი გაიმარჯვებს თუ გაყალბებას ექნება ადგილი?

– გაყალბებას გამოვრიცხავ. ხალხის რჩეული გაიმარჯვებს. პირადად მე სალომე ზურაბიშვილს მივეცი ხმა, დასამალი რა მაქვს და, დიდი იმედიც მაქვს, რომ გაიმარჯვებს.

– როგორ ფიქრობთ, მეორე ტური იქნება?

– ჩემი გადასახედიდან არ იქნება. ვფიქრობ, რომ თავიდანვე უპირობო ლიდერია. მე ჩვენი ქვეყნის სტაბილურობას მივეცი ხმა.

– ზურაბიშვილი ხელისუფლებასთან ასოცირდება, ანუ თქვენ მოგწონთ „ოცნების“ მმართველობა?

– ყოველ შემთხვევაში, დიქტატორი არ გვეყოლება ხელისუფლებაში. ხომ ხედავთ, როგორ იმუქრებიან?! კი, შესაძლოა, არ არის დიდი ეკონომიკური წინსვლა, მაგრამ არ არის დიქტატორული მმართველობა. სალომე ზურაბიშვილს ქართული ენის ცოდნას უწუნებენ. თვითონ იცხოვრონ ამდენი წელი ემიგრაციაში და ვნახავ, როგორ ილაპარაკებენ. სალომე ბევრ აქ მცხოვრებზე უკეთესად საუბრობს. ყველა მობილიზებულია. სალომე პირველივე ტურში გაიმარჯვებს. აი, ასეთია ჩემი განწყობა.

რევაზი, 82 წლის:

– თუ საიდუმლო არ არის, ვის მიეცით ხმა?

– რა შენი საქმეა, მე ვის მივეცი ხმა?! შენ ივანიშვილის კაცი ხომ არა ხარ?!

– არა, ჟურნალისტი ვარ.

– გასაგებია. ჰოდა, რასაც გეტყვი, ის დაწერე. არ მომწონს ეს მთავრობა. არაფერი ხალხისთვის არ გაუკეთებიათ. მარტო თვითონ გაისქელეს ჯიბეები. ახალი მთავრობა უნდა მოვიყვანოთ. ივანიშვილს ხალხის ბედი არ აინტერესებს. საკუთარი ქონება ადარდებს მარტო. ამიტომ, იმან უნდა გაიმარჯვოს, ვინც ხალხზე იზრუნებს.

– თქვენი აზრით, ვინ არის ასეთი, ვინ უნდა გაიმარჯვოს?

– ის, ვინც ყველაზე კარგი კაცია და ამათთან შედარებით სინდისი მაინც აქვთ, სწორედ იმას მივეცი ხმა! ვის მივეცი, არ გეტყვით.

ნანო, მე-80 უბნის დამკვირვებელი:

– დაბალი აქტივობაა ამომრჩევლის. რატომ ვერ შეიგნო ჩვენმა მოსახლეობამ, რომ არჩევნებზე არმოსვლით ხელისუფლების საქმეს აკეთებენ.

– რატომ ხელისუფლების?

– ყველა არმოსული ამომრჩევლის ხმა მათ სასარგებლოდ მიდის. აი, ეს არის არჩევნების

მეტი რა ვქნა, ტოო, 3 ათასი კაცი მყავდა სიაში მთელი უბნიდან, ვინც შევძელი, ისე მოვიყვანე, დანარჩენს, რა მაყუთიც მქონდა, დავურიგე, მეტი რა ვქნა?! რა ჩემი ბრალია, თუ ვაგებთ.

გაყალბება, აბა, თქვენ რა გგონიათ, საარჩევნო ურნებში კი არ ჩაყრიან ბიულეტენებს. რაც ნაკლები ხალხი მივა, სწორედ მათ წისქვილზე ასხამს წყალს. აი, ამას ჰქვია გაყალბება, არმოსული ამომრჩევლის ხმას გამოიყენებს „ოცნება“.

– რა განწყობაა ამომრჩეველში?

– ძალიან ბევრს ჰქონდა ასეთი განწყობა, ისევ შეჩვეული ჭირი გვირჩევნიაო. ასე არ შეიძლება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ხალხის ხმას აქვს დიდი ძალა. შევარდნაძეს თავი უძლეველი ეგონა და, თუ გახსოვთ, სწორედ ხალხმა გაუშვა სახლში, ჩვენი მოსახლეობის ერთიანობამ. აი, ამიტომ უნდა მოვიდეს ყველა არჩევნებზე და გააკეთოს საკუთარი არჩევანი, რათა უკეთეს ქვეყანაში ვიცხოვროთ! ჩვენი ქვეყნის ბედს არჩევნები წყვეტს! სწორედ ხალხმა უნდა გაუშვას ეს ხელისუფლება სახლში!

ქარიშხლის წინ რომ ზღვა გაირინდება, სწორედ ისეთი სიმშვიდე იყო საარჩევნო უბნებზე მთელი დღის განმავლობაში. ნაციონალები აცხადებდნენ, რომ მათი კანდიდატი იგებდა, ხოლო „ოცნების“ ლიდერები აცხადებდნენ, რომ სალომე იმარჯვებდა დიდი უპირატესობით.

ერთადერთი, რაც დილიდან თვალშისაცემი იყო უბნებზე, იყო ის, რომ ამომრჩეველზე მეტი ავტომანქანებით მობილიზებული აქტივისტები იყვნენ, სადაც ჭარბობდნენ ე.წ. მოძველებიჭო ტიპები, რომლებიც, დიდი მცდელობის მიუხედავად, ჩვენთან კონტაქტზე არ გამოვიდნენ. ჩვენ ერთ-ერთი მათგანის სატელეფონო საუბარი მოვისმინეთ.

– მეტი რა ვქნა, ტოო, 3 ათასი კაცი მყავდა სიაში მთელი უბნიდან, ვინც შევძელი, ის მოვიყვანე, დანარჩენს, რა მაყუთიც მქონდა, დავურიგე, მეტი რა ვქნა?! რა ჩემი ბრალია, თუ ვაგებთ. ჯერ კიდევ დრო გვაქვს, შემოვაბრუნებთ სიტუაციას.

ბაჩუკი ქარდავა: „ქართველი ხალხის წინააღმდეგ ვერც ერთი ხელისუფლება ვერაფერს გახდება. მეორე ტურში ჩვენ მათ ბეჭებზე დავაწვენთ“

საარჩევნო უბნების დახურვის პროცესს ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან ელოდებოდნენ გაერთიანებული ოპოზიციის – „ძალა ერთობაშიას“ მხარდამჭერები და ლიდერები. ისინი რ2-ის მიერ გამოცხადებულ ეგზიტპოლის შედეგებს სწორედ აქ გაეცნენ. გაერთიანებული ოპოზიციის წევრ ბაჩუკი ქარდავას თქმით, ხელისუფლებამ გაყალბების ყველა ხერხი გამოიყენა, თუმცა ქართველი ხალხის ნებასთან ვერაფერს გახდა:

– ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, გაყალბების ყველა ხერხი გამოიყენა გაერთიანებული ოპოზიციის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ გაითვალისწინა ერთი, რომ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ვერც ერთი ხელისუფლება ვერ გახდება ვერაფერს, მეორე ტურში ჩვენ მათ ბეჭებზე დავაწვენთ და ისინი აუცილებლად დამარცხდებიან, ქართველი ხალხი გამარჯვებული დარჩება. – განაცხადა ბაჩუკი ქარდავამ.

გია ვოლსკი: „მეორე ტურს არ გამოვრიცხავ“

მმართველი გუნდის რიგებში საპრეზიდენტო არჩევნების ეგზიტპოლების შესახებ განცხადებები კეთდება. გია ვოლსკის თქმით, ის მეორე ტურს არ გამორიცხავს:

– ჩვენი ეგზიტპოლის მონაცემები 19:00 საათის არის, სხვა ეგზიტპოლები გაკეთებულია 16:00 საათისთვის. ის განსხვავება არ დავივიწყოთ, რაც არის ნაციონალური მოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ ეგზიტპოლებს შორის. მგონია, რომ 52 პროცენტი კიდევ უფრო გაიზრდება, მაგრამ მეორე ტურს არ გამოვრიცხავ. იმ დონის ექსპერტი არ ვარ, რომ შედეგი წინასწარ შევაფასო. ჩვენი კანდიდატი წინ არის და ეს ფაქტი და მოცემულობაა, დაველოდოთ, მეორე ტური იქნება თუ არა, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

„ჩემი ქვეყნისა და ხალხის შესაბამისი პრეზიდენტი მინდა“

ნათია ხურცილავა

ბოლო პირდაპირი საპრეზიდენტო არჩევნები, შეიძლება ითქვას, რომ ამომრჩევლის დაბალი აქტივობით გამოირჩეოდა. განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად პრეზიდენტი ამომრჩეველმა არა 5 წლის ვადით, როგორც აქამდე ვირჩევდით, არამედ 6 წლის ვადით აირჩია. მე-6 პრეზიდენტს არა ამომრჩეველი, არამედ 300 ხმოსანი აირჩევს, აქედან 150 პარლამენტის წევრი იქნება პროპორციული სიით არჩეული, მეორე 150 კი – ადგილობრივი თვითმმართველობისა და ავტონომიური რეს-პუბლიკის წარმომადგენელი.

დღის პირველ ნახევარში ამომრჩევლის აქტივობა საგრძნობლად დაბალი იყო და დაახლოებით 15 საათის მონაცემებით 30,98% შეადგინა. მეორე ნახევარში ამომრჩეველთა რაოდენობა გაიზარდა. თუმცა, 28 ოქტომბრის არჩევნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, შეიძლება ითქვას, ამომრჩევლის დაბალი აქტივობა იყო.

ნელი კიკაძე, პენსიონერი:

– საერთოდ არ ვაპირებდი არჩევნებზე მოსვლას, მაგრამ ტელევიზორში გამოაცხადეს, რომ ბოლო პირდაპირი არჩევნებია, ანუ რა გამოდის, რომ პრეზიდენტს ბოლო ჯერ ვირჩევთ?! ამიტომ გადავწყვიტე, მოვსულიყავი და ჩემი პოზიცია დამეფიქსირებინა.

– პირდაპირი არჩევნების მომხრე ხართ?

– რა თქმა უნდა! ეს უფლება როგორ შეიძლება წაგვართვან. ისე ხომ კარგად გვაქვს

მე უკვე 80 წლის ქალი ვარ და ყველაფერი გამოვიარე, ყველა დროს მოვესწარი, ბევრი ტყუილ-მართალი ვნახე ამ პოლიტიკოსებისგან

საქმე, აწი კიდევ უფრო უკეთესად გვექნება. კიდევ ერთი, რაც მინდა ვთქვა, არჩევანის გაკეთება ძალიან გამიჭირდა, ამ მიზეზითაც არ მოვდიოდი არჩევნებზე.

– რატომ, გაგიჭირდათ, რთული იყო?

– ძალიან რთული იყო. მე უკვე 80 წლის ქალი ვარ და ყველაფერი გამოვიარე, ყველა დროს მოვესწარი, ბევრი ტყუილ-მართალი ვნახე ამ პოლიტიკოსებისგან, მათი ტყუილი დაპირებები. მოვლენ არჩევნების წინა დღეებში, გვპირდებიან ოქროს მთების აშენებას და მერე იმ კაბინეტებში რომ შევლენ, ადამიანი არავის აღარ ახსოვს. ეს ხომ არ არის ახალი ამბავი. ასე არ იყო წინა არჩევნებზეც?!

– იმედგაცრუებული ხართ?

– მე კი არა, მთელი საქართველოა იმედგაცრუებული. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორი ცუდია, როდესაც არავისთვის გემეტება ხმა, მაგრამ მაინც უნდა გააკეთო არჩევანი. ახლაც ძალიან ბევრი ვიფიქრე, მაგრამ, მგონი, მაინც სწორი არჩევანი გავაკეთე. ვნახოთ, რა გამოვა.

64-ე საჯარო სკოლაში განთავსებულ 23-ე საარჩევნო უბანზე ამომრჩეველს კარზე ასეთი წარწერა ხვდება: „ჩართულია ვიდეოკამერები!“ ამ შეტყობინების წაკითხვის შემდეგ, ბუნებრივია, საარჩევნო უბნის თავმჯდომარეს ვთხოვეთ განმარტება, რასაც დიდი ენთუზიაზმი არ მოჰყოლია. მეტიც, საარჩევნო უბნის მდივანი ჩემი ვინაობით დაინტერესდა, ასევე იმით, თუ რა მანაღვლებდა მე.

მზია მაქაძე, 23-ე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

– რას ნიშნავს ეს წარწერა, რატომ არის ვიდეოკამერა ჩართული?

– არა, ვიდეოკამერა არ არის ჩართული. ეს სკოლის არის.

– დღეს რომ ჩამოგეხსნათ?

– სკოლამ არ დაგვრთო ამის ნება, თორემ ჩვენ ვუთხარით, რომ ჩამოეხსნათ. სკოლის დირექტორს მივმართეთ, მაგრამ არ ჩამოგვახსნევინა. სიების გაკვრა გვინდოდა, მაგრამ არ მოგვცეს ამის უფლება. ეს წარწერა კი არის, მაგრამ აქ, შიგნით დალუქულია ვიდეოკამერები.

სკოლის დერეფანში, ჭერზე განთავსებულ ვიდეოკამერაზე თაბახის ფურცელი იყო აკრული.

– სულ არ მეშინია არავისი, თუ უნდათ, შიგნითაც შემომყვნენ და იქ გადამიღონ – იყო ამომრჩევლის რეპლიკები.

– შვილო, რა მაქვს დასამალი, საქართველოს ნათელ მომავალს მივეცი ხმა. იქნებ ახლა მაინც გვეშველოს. ლამაზი, ჭკვიანი, ბოლოს და ბოლოს, ქალია, მეც ქალი ვარ, ამიტომ ბევრი არც მიფიქრია, თუ ვისთვის მიმეცა ჩემი ხმა. ამას ვამბობ ღიად, არაფერს ვმალავ, ან რა მაქვს დასამალი?! – გვითხრა ქალბატონმა, მაგრამ ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა.

71-ე საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველ გიორგი კახიძეს ცოტა ხნით რიგში მოუწია დგომა.

– ბატონო გიორგი, ელოდით, რომ რიგი დაგხვდებოდათ?

– ნამდვილად არა, მაგრამ მითხრეს, ქაოსი რომ არ იყოს, 2 წუთით დაგველოდეო, მარკირება უნდა შეამოწმონ და ამიტომ. მეტი არაფერი.

– უკვე არჩევანი გაკეთებული გაქვთ?

– რა თქმა უნდა! თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ მარტივი არჩევანი არ ყოფილა.

– რატომ?

– არ იყო ის ხალხი დასახელებული, ვინც მე მინდა პრეზიდენტად.

– როგორი პრეზიდენტი გინდათ?

– როგორი პრეზიდენტი მინდა?! ახლა ვიღაცა იტყვის, ამას დიმიტრი ნდომებია, გელოვანიო. მთლად ასე არ არის საქმე. რეალურად ხომ შეიძლება, ჩვენთანაც იყოს პრეზიდენტი, რომელიც იქნება თავისი ქვეყნისა და ხალხის შესაბამისის?! ადეკვატური, არ შეიძლება პრეზიდენტი ცაში იყოს და ხალხი – მუდმივად მიწაზე. მიმიხვდით ალბათ, რასაც ვლაპარაკობ. ალბათ, როდესაც ადამიანი თანამდებობის პირი ხდება, მერე რაღაცა ემართება, თორემ, სანამ ავირჩევთ, მანამდე არ არიან ასეთები, ალბათ მერე ხდებიან?! ან არიან, მაგრამ კარგად გვაჩეჩებენ თავს, კარგად ყიდიან თავს! მაგრამ, თუ მთელ საქართველოს ასე ატყუებენ, მაშინ ყოჩაღ მაგათ!

– ძალიან ცოტა უფლებამოსილება რომ აქვს ახალ პრეზიდენტს?

– ვიცი, მაგრამ ის მაინც ქვეყნის მეთაურია, რაც მთავარია, ქვეყნის მთავარსარდალია, ეს ხომ არ არის პატარა ამბავი?! მთლად ასე ხელწამოსაკრავიც არ არის.

შალვა კაკულია:

– მე ჩემი არჩევანი გავაკეთე. არ გამჭირვებია არჩევანის გაკეთება, რადგან ხმას ვაძლევ ქალბატონს. ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ ქალბატონმა რუსეთის ჯარები გაიყვანა საქართველოდან. ეს უკვე ბევრს ნიშნავდა ჩემთვის, თან, როდესაც წინასაარჩევნო გამოსვლა ჰქონდა, თქვა, ძალიან მინდა, სოხუმში ჩავიდე და შავი ზღვა ვნახო ჩემი თვალითო. რა ვიცი, იქნებ აფხაზეთის დაბრუნებაზე დაიწყოს მოლაპარაკებები ლავროვთან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მას კარგად გამოსდის ლავროვთან მოლაპარაკებები. ვნახოთ, სიმართლე გითხრათ, ჩემი არჩევანი ამით იყო გამოწვეული.

29-ე საარჩევნო უბანზე მისული ერთ-ერთი ამომრჩეველი ვინაობის დასახელებისგან თავს იკავებს, თუმცა გვიმხელს, ვის მისცა ხმა.

– ხმა გრიგოლ ვაშაძეს მივეცი. არ შეიძლება, ეს სტაგნაცია გაგრძელდეს, თუმცა, აქვე იმასაც გეტყვით, რომ პირადად სააკაშვილი ამ ჩემს არჩევანში არავითარ როლს არ თამაშობს.

– როგორ?

– სააკაშვილმა ახლა გრიგოლ ვაშაძეს უნდა დაუთმოს. მე მეტის თქმა არ შემიძლია.

საირმის ქუჩაზე განთავსებულ მე-15 საარჩევნო უბანზე მოსულმა ქალბატონმა გვითხრა, რომ მისთვის მიუღებელი იყო წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც, მისი შეფასებით, სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებაში გადაიზარდა.

– ხმა საქართველოს მომავალს, დიდებას, წინსვლას მივეცი, მაგრამ, რაც იყო ეს ერთი თვე, მე ასეთ ქვეყანაში ცხოვრება არ მინდა. დავბერდი ქალი, 88 წლის ვარ, ჩემს თავზე მხოლოდ წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, მაგრამ ასეთ რამეს

ეს დაპირისპირება კარგს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ, ხომ გაგიგიათ, მიჩვეულს ნუ გადააჩვევო! რომ არიან კარგ ცხოვრებას მიჩვეულები, იმისთვის იბრძვიან. ევროპაში რომ გვინდა, ჩვენც ცოტათი მაინც უნდა მივბაძოთ იმ ევროპელებს.

არ შევსწრებივარ. ეს დაპირისპირება კარგს არაფერს მოგვიტანს, მაგრამ, ხომ გაგიგიათ, მიჩვეულს ნუ გადააჩვევო! რომ არიან კარგ ცხოვრებას მიჩვეულები, იმისთვის იბრძვიან. ევროპაში რომ გვინდა, ჩვენც ცოტათი მაინც უნდა მივბაძოთ იმ ევროპელებს, ასე კი არ უნდა მოვიქცეთ. ტელევიზორის ჩართვა არ მინდოდა. ვის მოეწონება ეს ძალადობა, ცოტა ხმამაღლა ვსაუბრობ, მაგრამ ამ მოქმედებაზე არ შემიძლია რეაქციისა და ემოციის გარეშე საუბარი.

28-ე საარჩევნო უბანთან ხანშიშესული ქალბატონი და მამაკაცი ერთმანეთში არკვევდნენ, თუ ვის მისცეს ხმა. მამაკაცმა ქალს უთხრა, რომ ხმა სალომეს მისცა, ქალმა კი შეუბრუნა, რატომ არ მოგტყდა ეს ხელი?!

ქალბატონს ვთხოვეთ, აეხსნა, რატომ ჰქონდა მას ეს რეაქცია, მამაკაცმა არ დააყოვნა – იეჭვიანა!

რატომ არ ჩატარდა არჩევნები თუშეთში

შორენა მარსაგიშვილი



28 ოქტომბერს საარჩევნო ციებ-ცხელებამ სრულიად საქართველოს გადაუარა. ამ მხრივ ყველაზე მშვიდი ვითარება თუშეთში იყო, სადაც არჩევნები საერთოდ არ ჩატარებულა. არადა, თუშეთი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და აქ არჩევნები ყოველთვის ტარდებოდა. საარჩევნო ყუთი ვერტმფრენით გადაჰქონდათ და თუშეთში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობის საშუალება ჰქონდა.

ბოლო რამდენიმე წელია, ამ მხრივ ვითარება შეიცვალა. თუშეთის სოფლებში მუდმივად მცხოვრებმა პირებმა და მესაზღვრეებმა, რომლებიც სხვადასხვა სექტორზე იმყოფებიან, საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა ვერ მიიღეს.

თუშეთში მუდმივად მცხოვრები პირები ამის გამო თავს შეურაცხყოფილად გრძნობენ. „ახალი თაობა“ რამდენიმე მათგანს დაუკავშირდა და ყველა მათგანი ამბობს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილი ჰქონდათ.

– ჩვენ საქართველოს მოქალაქეები ვართ და ჩვენც გვინდოდა, ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი მოგვეხადა, – განუცხადეს თუშებმა „ახალ თაობას“.

როგორც „მთის ამბებს“ ახმეტის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მინდია იუკურიძემ განუცხადა, საავტომობილო გზების დეპარტამენტს თუშეთის გზაზე ტრანსპორტის მოძრაობა ოფიციალურად აკრძალული აქვს, სპეციალური საარჩევნო ყუთის გადასატანად კი ვერტმფრენის გამოყოფა ვერ მოხერხდა.

– თუშეთის მე-14 საარჩევნო უბანი გახსნილი გვაქვს სოფელ ქვემო ალვანში, სადაც 265 ამომრჩეველია რეგისტრირებული. ამავე უბანში გვაქვს სპეციალური სია, რომელშიც სასაზღვრო პოლიციის 24 თანამშრომელია შეყვანილი. გადასატანი ყუთით სარგებლობის მიზნით თუშეთში მცხოვრებთაგან მხოლოდ 4-მა ამომრჩეველმა მოგვმართა განცხადებით, დანარჩენებს არ მოუმართავთ. რადგან სამანქანო გზა დაკეტილად არის გამოცხადებული, ვერტმფრენის ქირაობის შესაძლებლობა კი არ გვაქვს, ამიტომ თუშეთში არჩევნებს ვერ ვატარებთ, – აღნიშნა მინდია იუკურიძემ.

იუკურიძის განმარტებით, ის ახმეტის საოლქო-საარჩევნო კომისიას 2010 წლიდან ხელმძღვანელობს და ბოლო 8 წელში თუშეთში საარჩევნო უბანი არ გახსნილა.

თუშეთისგან განსხვავებით, სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენის დახმარებით მოახერხეს გადასატანი საარჩევნო ყუთის წაღება პირიქითა ხევსურეთში, კერძოდ, არხოტის ხეობაში.

გუდანის 42-ე საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გოდერძი ჭინჭარაულის განცხადებით, გუდანის უბანზე ძირითად საარჩევნო სიაში 180 ამომრჩეველია რეგისტრირებული, სპეციალურ სიაში კი 40 – ჭიმღას, ტერღას და ტანიეს სასაზღვრო სექტორებზე მყოფი მესაზღვრეები.

– არხოტის უღელტეხილზე თოვლის გამო სამანქანო გზა ჩაკეტილია. გასულ წელსაც იგივე მდგომარეობა იყო, მაგრამ მაინც გავგზავნეთ გადასატანი საარჩევნო ყუთი. კომისიის წევრები არხოტში ცხენებით წავიდნენ. ერთი მიმართულებით გზას რამდენიმე საათი სჭირდება. როცა იქიდან ბრუნდებოდნენ, შეფერხდნენ. მდინარეა გასავლელი. საარჩევნო უბანზე 8 საათამდე მოსვლა ვერ მოასწრეს და გადასატანი საარჩევნო ყუთით მიღებული ბიულეტენები გავაუქმეთ, – აღნიშნა „მთის ამბებთან“ საუბარში გოდერძი ჭინჭარაულმა.

საარჩევნო უბანი გაიხსნა შატილში, თუმცა დათვიჯვრის უღელტეხილზე ღამით ყინავს და, შესაძლოა, შემაჯამებელი ოქმების საოლქო კომისიაში გადატანისას გარკვეული პრობლემები შეიქმნას.

ეგზიტპოლი: 40% — გრიგოლ ვაშაძეს, 40% — სალომე ზურაბიშვილს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ასე რომ, დანამდვილებით შემიძლია ვივარაუდო, რომ მინიმუმ რამდენიმე პროცენტით უსწრებს ვაშაძე სალომე ზურაბიშვილს რეალური მიცემული ხმებით. რეალურად, გია ვაშაძე არის გამარჯვებული და გარანტირებულად გადასულია მეორე ტურში. ეს არის ძალიან მაგარი რაღაცა. ყველაფრის მიუხედავად, იმის შემდეგ, როცა ოპოზიცია გაყოფილი იყო ორ-სამ ძირითად პარტიად, ოპოზიციამ მოახერხა და პრაქტიკულად მოიგო ეს არჩევნები, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა დავით ბაქრაძესა და „ევროპულ საქართველოს“ „ვაჟკაცური ნაბიჯისთვის“ მადლობა გადაუხადა.

– ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ოპოზიცია ისევ ერთიანდება, როგორც ვარდების რევოლუციის დროს. მე დარწმუნებული ვარ, იმავე ნაბიჯს გადადგამს შალვა ნათელაშვილი და უამრავი სხვა ადამიანი მოემატება ოპოზიციურ ერთობას. ხალხმა დაიჯერა, რომ ამ მონსტრის, ამ საზიზღარი მოვლენის, ივანიშვილის დამარცხება შესაძლებელია ამ თავისი ყალბი ქალბატონით. როგორ არ რცხვენიათ, 50%-ზე რომ ლაპარაკობენ?! ივანიშვილმა დაიბარა სუს-ელები, გაარკვია, მომზადებული იყვნენ თუ არა სიტუაციის დასაჭერად, სუს-მა მას ურჩია, ეღიარებინა, რომ მეორე ტური იქნება. თავიდან ივანიშვილი დათანხმდა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ შეიცვალა გადწყვეტილება და განაცხადა, რომ პირველივე ტურში იგებს. ის იქცევა, როგორც ასლან აბაშიძე, შევარდნაძე, იანუკოვიჩი და სარქისიანი. ჩვენ კი მოვიქცევით, როგორც ნამდვილი ქართველები, – აღნიშნა სააკაშვილმა.

სააკაშვილის თქმით, „ძალა ერთობაშია“ არის მობილიზებული, ოპოზიცია აერთებს თავის ძალებს და ის აუცილებლად დაიცავს ქართველი ერის მიერ გაკეთებული არჩევანის შედეგებს.

– ჩვენ არ მივცემთ საშუალებას ამ ახლადგამოჩეკილ ასლან აბაშიძეს, ყაჩაღსა და ბანდიტს, ერთუჯრედიან მილიარდერს, გააყალბოს არჩევნები ქართველი ერის მოღალატის სასარგებლოდ. თქვენ დაინახავთ ქართველი ერის ძალას. ჩვენ მზად ვართ მეორე ტურისთვის, მაგრამ, თუ იქნება გაყალბება, ვიქნებით მშვიდობიანი, თუმცა დავიცავთ ჩვენი ხალხის არჩევანს, – ამბობს სააკაშვილი.

ამომრჩეველი: „კანდიდატებმა ისე დაბდღვნეს ერთმანეთი, რომ ხალხი დააშინეს“

მარიამ მჭედლიშვილი

მეხუთე პრეზიდენტის არჩევნებს სხვადასხვა ამომრჩეველი სხვადასხვანაირად შეხვდა. „ახალი თაობა“ რამდენიმეს გაესაუბრა

მაია, პედაგოგი, 57 წლის:

– პიროვნულად შეიძლება დიდად არ მომწონდეს, მაგრამ ხმა მივეცი „ქართული ოცნების“ მიერ მოწონებულ კანდიდატს. განათლების მინისტრმა დაიწყო რეფორმები განათლების სისტემაში. იმისთვის, რომ შედეგი მივიღოთ, საჭიროა სტაბილურობა. ამას ხელს შეუწყობს ის არჩევანი, რომელიც გავაკეთე.

გიორგი, უმუშევარი, 50-მდე წლის:

– არ ვიცი, აქვს თუ არა გამარჯვების შანსი კახა კუკავას. მას მივეცი ხმა. ეს კაცი ხალხთან ახლოსაა და მისი აზრები ჩვენსას ემთხვევა. საარჩევნო უბანი ცარიელი იყო. ამომრჩევლების აქტიურობა არ ჩანს. არ ვიცი, პროტესტის ნიშანია ეს თუ ინტერესი არ არსებობს ამ არჩევნების მიმართ.

თამარი, 59 წლის, გამყიდველი:

– ჩვენი მაღაზია საათ-ნახევრით გვიან გაიხსნა. არჩევნებში მონაწილეობისათვის მოგვცეს დრო. ყოველთვის ვმონაწილეობ არჩევნებში. ახლაც არ დავარღვიე ჩვეულება. არ ვიტყვი, ვის მივეცი ხმა.

მერაბი, პენსიონერი:

– არჩევნებში როგორ მივიღებ მონაწილეობას, როცა ვდგავარ და ვვაჭრობ. ქართლიდან ჩემი საკუთარი ხილი ჩამოვიტანე. ნავაჭრით ოჯახისთვის საზამთროდ ფქვილი და სხვა სურსათი უნდა მოვამარაგო. ამაში არც ერთი პრეზიდენტი არ დამეხმარება. ყველაზე ვითომ „მაგარი“ ვინც არის, ქვეყნისთვის არც ერთი არ უქნია ღმერთს. ბევრი ფული კი დახარჯეს თავიანთი სურათების გამოფენებსა და რეკლამებში! მაგათ ჩვენი მდგომარეობა არც კი იციან.

– ხალხს ხომ ხვდებოდნენ კანდიდატები?

– ეტყობა, თავიანთ წევრებს ხვდებოდნენ. უცხო ადამიანებს – არა.

ნატო, საშუალო ასაკის, თვითდასაქმებული:

– არ მივდივარ არჩევნებზე. საერთოდ არ ვჭირდები ამ ხელისუფლებას. ვემზადები, რომ უცხოეთში წავიდე. ოღონდ, არ მინდა, არალეგალი ვიყო. აგერაა საარჩევნო უბანი. ხედავთ? არც სხვები მიდიან ხმის მისაცემად.

– როგორ ფიქრობთ, რატომ?

– კანდიდატებმა და მათმა მომხრეებმა ისე დაბდღვნეს ერთმანეთი, რომ ხალხი დააშინეს. იმდენი ჩანაწერი გამოაჩინეს, ნახევრის მოსმენა და ყურებაც ვერ მოვასწარით. არც მქონდა ამის სურვილი.

– რაზე იყო გათვლილი ეს ფარული ჩანაწერები?

– ალბათ, იმაზე, რომ ხალხი გულუბრყვილო და უტვინო ჰქონიათ. ეგენი გავარჯიშებული არიან რაღაც ტექნოლოგიებში, მაგრამ არ იციან, რომ საზოგადოება ყველაფერს არ „ჭამს“. პოლიტიკოსების უმრავლესობა არა მარტო პატივისცემას არ იმსახურებს, არამედ, ფურთხის ღირსია.

– ამ არჩევნებში ბევრი კანდიდატი მონაწილეობს. ყველაზე ამბობთ ამას?

– იქნება, ასე, სამი პატიოსანი ადამიანი, რომელიც მონაწილეობს, მაგრამ ჯობდა, ისინიც არ ჩართულიყვნენ ამ არჩევნებში. ძალიან ბინძური ხასიათი ჰქონდა წინასაარჩევნო კამპანიას და წესიერი ადამიანები იჩაგრებიან ამ ურჩხულების გვერდით.

ეკატერინე, 79 წლის, პენსიონერი:

– არჩევნებზე რომ მივსულიყავი, არც „ქართული ოცნების“ მიერ განდიდებულ კანდიდატს მივცემდი ხმას და არც ნაციონალური მოძრაობისა და ბოკერიას პარტიის კანდიდატებს. ყველა მათგანმა ისე დაანგრია ქვეყანა, რომ აღდგენას წლები სჭირდება. ახალგაზრდები გაანარკომანეს. სადაც გაიხედავ, პატარა ბავშვები ან კანაფს ეწევიან, ან თამბაქოს, ან სპირტიან სასმელებს სვამენ. არ მახსენდება, საქართველოში ასეთი რამ ადრე ყოფილიყო.

ლარში გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა

ეროვნული ბანკის 2018 წლის სექტემბრის სტატისტიკური მონაცემებით, ეროვნული ვალუტით გაცემული, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების საერთო მოცულობამ 4,2 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 1,3 მილიარდი ლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2017 წლის სექტემბერში უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 2,9 მლრდ ლარი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში გაიზარდა ფიზიკურ პირებზე გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობაც. კერძოდ, 2018 წლის სექტემბერში მთლიანად გაცემული იყო 2,7 მლრდ ლარი, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი გაცემული იყო 1,8 მლრდ ლარი. იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების მოცულობამ კი 0,3 მლრდ ლარით მოიმატა.

რაც შეეხება უცხოური ვალუტით გაცემული უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობას, აქაც ზრდა შეინიშნება. კერძოდ, სებ-ის სტატისტიკით 2018 წლის სექტემბერში უცხოურ ვალუტაში გაცემულმა სესხებმა მთლიანად 10,1 მლრდ ლარი შეადგინა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში კი 8,4 მლრდ ლარი იყო.

ამასთან, მოიმატა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე საპროცენტო განაკვეთებმა. კერძოდ, 2018 წლის სექტემბრის სტატისტიკით ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13,3% შეადგინა, 2017 წლის სექტემბერში – 12,8% იყო. უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე კი საპროცენტო განაკვეთი 8,6%-დან 8,1%-მდე შემცირდა.

შალვა ნათელაშვილი ეგზიტპოლების შედეგებს არ ენდობა

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი არც ერთი ეგზიტპოლის შედეგს არ ენდობა.

– გამოქვეყნდა სამარცხვინო ფალსიფიცირებული ეგზიტპოლები სამივე პოლიტიკური ძალის მიერ, რომლებიც ერთი პოლიტიკური მამის შვილები არიან, რომელთა ზნეობა არ იცვლება, რომელთა ღმერთი არის მწვანე დოლარი, – ამბობს ნათელაშვილი და გავლენიან ამერიკულ კვლევით ორგანიზაცია Edison Research-ს უსინდისოს უწოდებს.

– მინდა, სულითა და გულით უდიდესი მადლობა გადავუხადო ათეულათასობით ამომრჩეველს, რომლებიც დღეს მოვიდნენ უბნებზე და მხარი დაგვიჭირეს სრულიად უანგაროდ, ერთი თეთრის გარეშე, – განაცხადა შალვა ნათელაშვილმა საგანგებო ბრიფინგზე.

ნატო ჩხეიძე: „ფინანსთა სამინისტრომ ხისტი მიდგომებით გააკეთა ცუდი, ახლა გააკეთა უკეთესი“

„ომეგა ჯგუფის“ დამფუძნებლის მეუღლის, დეპუტატ ნატო ჩხეიძის განცხადებით, „ფინანსთა სამინისტრომ გააკეთა ის, რაც სამი თვის წინ უნდა გაეკეთებინა“.

ამის შესახებ ჩხეიძემ ტვ „პირველის“ საინფორმაციო სამსახურს განუცხადა და ასე შეაფასა ის ფაქტი, რომ შემოსავლების სამსახურმა მას შემდეგ, რაც „ოჯთ“-მ 1 მლნ ლარის ბიუჯეტის დავალიანება გადაიხადა, კომპანიას ანგარიშზე ინკასო მოხსნა, ასევე საბრუნავ საშუალებებზე ყადაღა მოხსნა და აქციზური მარკები გაატანა, რათა ფაბრიკამ წარმოება განაახლოს.

ნატო ჩხეიძის თქმით, ბოლო სამი თვის განმავლობაში, მას შემდეგ რაც „ოჯთ“-ის ფაბრიკამ შეაჩერა მუშაობა, ფინანსთა სამინისტროსთან „ჩვეულებრივი კომუნიკაცია“ მიმდინარეობდა.

– ამ სამი თვის განმავლობაში იყო მუდმივი საუბარი მათთან სწორედ ამ საკითხის გამო, რომ გაცემულიყო აქციზური მარკები და ფაბრიკას წარმოება განეახლებინა, რათა ადამიანებს, რომლებიც იქ იყვნენ დასაქმებულები, მუშაობა გაეგრძელებინათ; ნამდვილად ძალიან პოზიტიურია, რომ ამ სამთვიანმა მოლაპარაკებებმა გამოიღო შედეგი და ის, რაც ფინანსთა სამინისტრომ ცხელ გონებაზე ხისტი მიდგომებით გააკეთა ცუდი, ახლა გააკეთა უკეთესი და ფაბრიკას ამუშავების საშუალება მიეცა, – განაცხადა ჩხეიძემ და დასძინა, რომ ის ფინანსთა სამინისტროსგან ასეთ გადაწყვეტილებას უფრო ადრე ელოდა.

– მე უფრო ვფიქრობდი, რომ ასეთ გადაწყვეტილებას ისინი მიიღებდნენ მაშინ, როცა „ომეგა ჯგუფის“ თანამშრომლებმა ფინანსთა სამინისტროსთან აქცია გამართეს, მაგრამ მაშინ ამას არანაირი გამოხმაურება არ მოჰყვა. როგორც ჩანს, ცივი გონებით ალბათ კარგად აწონ-დაწონეს, არ ვიცი როგორ და რატომ , მაგრამ გააკეთეს ის, რაც სამი თვის წინ უნდა გაკეთებინათ, – აღნიშნა ნატო ჩხეიძემ.

თავად შემოსავლების სამსახურში კი აცხადებენ, რომ უწყებამ ანგარიშზე ინკასოს მიხსნის, კომპანიის საბრუნავ საშუალებებზე ყადაღის მოხსნის და აქციზური მარკების მიცემის გადაწყვეტილება იმიტომ მიიღო, რომ „ოჯთ“-მ ბიუჯეტის დავალიანების ნაწილი – 1 მლნ ლარი გადაიხადა.

– აქამდე მხოლოდ საუბრობდნენ. ახლა ჩარიცხა 1 მლნ ლარი. უახლოეს დღეებში კი დანარჩენი ვალდებულების გრაფიკი უნდა შედგეს, – განმარტეს შემოსავლების სამსახურში.

სარესტორნო ბიზნესის წარმომადგენლები დახმარებას ითხოვენ

თამბაქოს კონტროლის კანონის საკომუნიკაციო პროგრამის ფარგლებში, ე.წ. სამასპინძლო ბიზნესის, საკანონმდებლო ხელისუფლების, დაავადებათა კონტროლის ცენტრის, თამბაქოს კონტროლის ალიანსის წევრებმა რესტორნების მეპატრონეებთან, ზამთრის სეზონზე გადასვლის შემდეგ თამბაქოს კონტროლის კანონის აღსრულების შედეგები განიხილეს.

შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს, როგორ შეიძლება განვითარდეს პროცესები ზამთრის პერიოდში.

რესტორნების მეპატრონეების თქმით, თამბაქოს კონტროლის კანონის აღსრულება წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა მიიჩნევენ, რომ შესაძლოა, უმნიშვნელოდ მოიმატოს იმ მომხმარებელთა რაოდენობამ, რომელიც მოსაწევად ცივ ამინდებში გარეთ გასვლას გააპროტესტებს.

რესტორნების მეპატრონეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ბიუროკრატიული მექანიზმების გამო, რომელიც მათ რესტორნის მიმდებარედ, გარე სივრცის მოწყობის მცდელობის დროს ხვდებათ.

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, აკაკი ზოიძემ მათ სთხოვა, ოფიციალური წერილით მიმართონ პარლამენტს და უშუამდგომლებს ამ პრობლემის მოგვარებაში.

თამბაქოს კონტროლის ალიანსის განცხადებით, რომელიც კანონის აღსრულების მონიტორინგის პროცესსაც კურირებს, ზამთრის პერიოდში, მონიტორინგის პროცესი გაძლიერდება როგორც სამასპინძლო ბიზნესის კუთვნილ შენობებში, ყველა დახურულ სივრცეში, სადაც კანონით მოწევა დაუშვებელია.

რამდენი მილიონი დაიხარჯა პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებიდან 9 თვეში

– 2018 წლის 9 თვეში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა 104 შემთხვევაში სულ 4 მლნ 305 ათასი ლარი იყო, – ამის შესახებ ინფორმაციას ბმ.გე ავრცელებს.

ფინანსთა სამინისტროს ხაზინის სამსახურის ინფორმაციით, გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა სულ 3 მლნ 913 ათას 100 ლარი შეადგინა.

მისივე ცნობით, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობა 2018 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით 391 ათას 800 ლარი იყო.

რაც შეეხება, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2018 წლის ცხრა თვეში გაწეულ ხარჯს, ხაზინის ინფორმაციით, ასიგნებების მოცულობამ 43 შემთხვევაში შეადგინა სულ 28 მლნ 441 ათას 400 ლარი.

– გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 25 მლნ 872 ათას 200 ლარი. საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2018 წლის 1 ოქტომბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 2 მლნ 569 ათას 200 ლარი, – ნათქვამია ხაზინის ინფორმაციაში.

bm.ge

11 „სამთავრობო აგარაკი“, რომელთა ღირებულება 31 მლნ ლარია, სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება

დღეისათვის სახელმწიფოს საკუთრებაში 11 „სამთავრობო აგარაკია“.

bm.ge-ის მიერ ქონების ეროვნული სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციიდან ირკვევა, რომ „სამთავრობო აგარაკების“ დაახლოებითი საბაზრო ღირებულება 31.000.000 ლარია.

უძრავი ქონება, რომელიც წყნეთში 86.965 კვ.მ. მიწის ნაკვეთზეა განლაგებული, შპს სახელმწიფო მომსახურების ბიუროს ბალანსზე ირიცხება, რომელიც თავის მხრივ, ქონების ეროვნული სააგენტოს შპს-ს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს, მაშინ როცა მთავრობამ სავალუტო კრიზისიდან გამოსვლის ე.წ. გეგმა წარმოადგინა, წყნეთის „სამთავრობო აგარაკები“ საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შეიტანეს.

თუმცა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩინოვნიკებს აგარაკები ჩამოერთმეოდათ, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ 2012 წლის ბოლოს სოციალურად დაუცველებთან შეხვედრისას გააჟღერა. მაშინ ითქვა, რომ აგარაკები მოქალაქეებზე გაქირავდებოდა.

– ყველანაირი დაჩები, ყველანაირი მშენებლობები, ყველანაირი პრივილეგიები, რაც ჰქონდათ ჩინოვნიკებს, ყველაფერს ჩამოვართმევთ და ყველაფერს ამას გამოვაქვეყნებთ. არავითარი წყნეთი, არავითარი დაჩები, იქ კიდევ მშენებლობები მიდის, ყველაფერი გავაჩერეთ, ყველაფერი თქვენსკენ წამოვა, მაგრამ საკმარისი მაინც არ იქნება, რომ ყველას ადამიანურად და ნორმალურად თქვენი ოჯახის რჩენა შეგეძლოთ, – აცხადებდა ივანიშვილი.

ქონების სააგენტოს ინფორმაციით, 2016 წლის ოქტომბერში წყნეთის „სამთავრობო აგარაკებიდან“ 8.226 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები გასხვისდა. ობიექტის პრივატიზაციის შედეგად ბიუჯეტმა 4.288.320 ლარი მიიღო.

Bm.ge-ის კითხვაზე – ახლაც იყიდება თუ არა წყნეთის „სამთავრობო აგარაკები“ და თუ – კი, სად არის ამის შესახებ ინფორმაცია გავრცელებული, სააგენტოდან შემდეგი პასუხი მოგვწერეს:

– აღნიშნული ობიექტების მიმართ მოთხოვნა დიდია და სააგენტო პერიოდულად აწარმოებს მოლაპარაკებებს ბიზნესსექტორთან. პროცესი არის გამჭვირვალე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ააქვს შესაძლებლობა დააფიქსიროს დაინტერესება საპრივატიზებო ობიექტის მიმართ და საagენტო განიხილავს განიხილავს მას.

როგორც ოფიციალური პასუხიდან ირკვევა, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს „სამთავრობო აგარაკების“ პრივატიზაციის შესახებ ინფორმაცია სააგენტოს ვებგვერდზეც არ აქვს გამოქვეყნებული.

მათივე ცნობით, ბოლო წლების განმავლობაში საჯარო ელექტრონული აუქციონის საშუალებით ხდებოდა „სამთავრობო აგარაკების“ იჯარის უფლებით დროებით სარგებლობაში გადაცემა.

რა თანხა მიიღო ბიუჯეტმა „სამთავრობო აგარაკების“ გაქირავებიდან, Bm.ge ამის შესახებ ინფორმაციას შპს სახელმწიფო მომსახურების ბიუროდან ელოდება.

bm.ge

იოსებ არჩვაძე: „2019 წლის ბიუჯეტი უფრო ჰუმანური და ბიზნესზე ორიენტირებული იქნება“

რადიო კომერსანტის გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი და ეკონომიკური გამოწვევები შეაჯამა ეკონომიკის დოქტორმა იოსებ არჩვაძემ. მისი განცხადებით, 2019 წლის ბიუჯეტი უფრო ჰუმანური და ბიზნესზე ორიენტირებული იქნება, ვიდრე ეს გასულ წლებში იყო.

– ბიზნესსა და მოსახლეობას გაცილებით მეტი სახსარი რჩებათ განკარგვისთვის, ვიდრე აქამდე იყო. სახელმწიფო ნაკლებად ერევა და ბიზნესს რჩება მეტი საშუალება მოახდინოს შინა მანევრირება და განკარგოს საკუთარი ფინანსები.

ამასთანავე, მცირდება მთავრობის სახელისუფლებო ხარჯები საქონლისა და მომსახურების შეძენაზე. მისი გადანაწილება ხდება სოციალური მიმართულებით. მაგალითად, გასულ წელთან შედარებით, სოციალური ბლოკის ხარჯები: განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოციალურ დაცვაზე, საპენსიო უზრუნველყოფაზე, იზრდება და ხდება 47%, გასულ წელს ეს რიცხვი 45% იყო. მხოლოდ პენსიებზე, 2019 წელს 225 მილიონი ლარით მეტი გამოიყოფა და ვფიქრობთ, ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება. აღნიშნული ბიუჯეტი უფრო ჰუმანური და სოციალური იერსახის მატარებელია. აბსოლუტური ზრდის პირობებში ხდება სტრუქტურული ცვლილებები, – ამბობს იოსებ არჩვაძე.

რაც შეეხება მუნიციპალურ ბიუჯეტს, იოსებ არჩვაძის განცხადებით:

„2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია, რომ გაიზარდოს მუნიციპალური ბიუჯეტი.“

– ეკონომიკური განვითარების დონეები სხვადასხვა რეგიონში განსხვავებულია, თბილისზე მოდის მშპ-ს 60%, ეკონომიკური აქტივობების 70-75%, უცხოური ინვესტიციების 80% და ამიტომ არის, რომ რეგიონებიდან ჩამოდის ხალხი თბილისისთვის. ამ მაჩვენებლების განშლისთვის 2019 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია, რომ გაიზარდოს მუნიციპალური ბიუჯეტი. ადრე 4% გადაეცემოდა, ახლა ეს ციფრი გაზრდილია 19%-მდე. ეს ფისკალური დეცენტრალიზაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, – ამბობს იოსებ არჩვაძე.

იოსებ არჩვაძემ რადიო კომერსანტის გადაცემაში ასევე ისაუბრა სახელმწიფოს საგარეო ვალზე, მისი თქმით, საგარეო ვალის დიდი ნაწილის გამოყენება ხდება ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად, რასაც გააჩნია მულტიპლიკატორული ეფექტი, რომელიც გვაძლევს სწრაფ და მეტ უკუგებას ამ სფეროში.

– ჩვენ ვიღებთ ვალებსაც და ვისტუმრებთ ადრე აღებულ ვალდებულებებსაც, მოცულობის ზრდის მხრივ, ჩვენი სახელმწიფოს ვალი იზრდება, მაგრამ ჩვენ გვეზრდება მშპ-ც და ის 45 მილიარდ ლარზე მეტი იქნება, რაც ნიშნავს იმას, რომ პროცენტული თანაფარდობა იკლებს 0.4% პუნქტით. ამ შემცირებაში მნიშვნელოვანი გადათამაშება ხდება შიდა ვალის „სასარგებლოდ“.

შიდა რესურსების მობილიზაციის მხრივ, შემოსავლებში მკვეთრად მცირდება გრანტების უცხოური წილი და იზრდება საგადასახადო შემოსავლების წილი 1% პუნქტით. ეს არის საკმაოდ დიდი მაჩვენებელი.

რაც შეეხება, მოგების გადასახადს, ამ მხრივ, უკუსვლის პროცესი უკვე დამთავრებულია, 2019 წელს მოგების გადასახადის მოცულობა 3-ჯერ გადააჭარბებს მშპ-ს ნომინალურ ზრდის მაჩვენებელს. 8,2%-ით იზრდება მშპ, ხოლო მოგების გადასახადის აბსოლუტური მოცულობა იზრდება და ხდება თითქმის 25%. ეს ნიშნავს იმას, რომ ის რესურსი, რომელიც ბიზნესს დარჩა, იძლევა განკარგულებისა და უკუქმედების საშუალებას. ბიზნესის გაფართოებიდან დამატებითი შემოსავლის მიღება ხდება, რაზეც იყო გათვლილი ესტონური მოდელი. ამ მოდელმა არა მოკლევადიან, არამედ საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ნამდვილად გაამართლა, – ამბობს იოსებ არჩვაძე.

კომერსანტი

ვახტანგ ჭარაია: „ლარის გაუფასურების ობიექტური მიზეზები არ არსებობს“

თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორ ვახტანგ ჭარაიას თქმით, ლარის გაუფასურების ობიექტური მიზეზები არ არსებობს. ვახტანგ ჭარაია რადიო კომერსანტთან გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერად“, ლარის კურსის გაუფასურების სუბიექტურ მიზეზებსა და ხელოვნურ ჩარევაზე საუბრობს.

– ვაჭრობა, ფულადი გზავნილები, ინვესტიციები, ტურიზმი, მეზობელი ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, მათი ეროვნული ვალუტების სტაბილურობა, ის ფაქტორებია, რომლებიც ლარზე ზეგავლენას ახდენენ, ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, ყველაფერი არის აბსოლუტურად წესრიგში და მწყობრში, არ გვაქვს გარღვევა და ნეგატიური სიგნალები, შესაბამისად, ლარს არ აქვს ობიექტური მიზეზები, რომ გაუფასურდეს.

დარჩა სუბიექტური მიზეზები და ჩარევა. ასეთი სუბიექტური მიზეზებია მაგალითად, პოლიტიკოსების განცხადებები, ხელოვნური აჟიოტაჟის აწევა იმის შესახებ, რომ ლარი შეიძლება კიდევ გაუფასურდეს და ა.შ.

დოლარზე ჭარბი მოთხოვნის გაჩენით შესაძლებელია, რომ ხელოვნურად დოლარი გაამყარონ და ლარი გააუფასურონ. ეს არის ის შესაძლებლობა, რომელსაც მსხვილი და ფინანსურად ძლიერი ობიექტები ან პირები იყენებენ იმისთვის, რომ დამატებითი შემოსავალი იშოვონ. მაგალითად, 10 მილიონი დოლარის სპეკულაციით და 5-თეთრიანი სხვაობით შესაძლებელია 200 ათასი დოლარის დამატებით შემოსავლის მიღება. ამდენად, მილიონობით დამატებითი დოლარის მიღება შეუძლიათ მსხვილ ბიზნესმენებს მოსახლეობისგან. ასეთი მანიპულაციები კი ხდება სწორედ მაშინ, როცა ლარს აქვს გამყარების წინა პირობა.

ჩემი აზრით, რამდენიმე დღეში ან კვირაში ლარი უნდა დასტაბილურდეს. გამორიცხული არც ისაა, რომ წინა საარჩევნოდ ხდებოდეს ამ აჟიოტაჟის აწევა, – ამბობს ვახტანგ ჭარაია.

ის ასევე ეხმიანება, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ გაძვირებულთან ერთად, გაიაფებული პროდუქტებიც არსებობს.

– შეიძლება ფასები შემცირდა კომპიუტერულ ტექნიკაზე, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, თუ მოსახლეობის, რა ფენა იყენებს იმ შემცირებული ფასებით მოწოდებულ პროდუქციას. როცა ჩვენ ყოველდღიურად სურსათს, წამლებს, ნავთობპროდუქტებს ვიძენთ, არ აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა გაიაფებულ ტელევიზორს, რომელსაც 5-10 წელიწადში ერთხელ ვყიდულობთ, – განაცხადა ვახტანგ ჭარაიამ.

კომერსანტი

გიორგი კვირიკაშვილი: „ჩემთვის მნიშვნელოვანია, მოსახლეობამ იცოდეს, რომ მათი პრემიერ-მინისტრი პრემიერმინისტრობის პერიოდში არ გამდიდრებულა“

– ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სიმართლე გაირკვეს და ჩვენმა მოსახლეობამ იცოდეს, რომ მათი პრემიერ-მინისტრი პრემიერმინისტრობის პერიოდში არ გამდიდრებულა, – ასე გამოეხმაურა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გასულ სიუჟეტს, რომელიც არაგვის ხეობაში, სოფელ ქვეშეთში მდებარე მის სახლს ეხებოდა.

კვირიკაშვილის შეფასებით, სამწუხაროა, რომ სიუჟეტის ავტორმა მისგან დამატებითი ინფორმაცია არ გამოითხოვა და მხოლოდ საჯარო რეესტრის 2016 წლის ჩანაწერით იხელმძღვანელა.

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ჟურნალისტებს წარუდგინა დოკუმენტაცია, რომლითაც ირკვევა, რომ ქვეშეთში მდებარე სახლის აზომვითი ნახაზები და საცხოვრებელი სახლის ლეგალიზაციის შესახებ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბრძანება 2013 წლით თარიღდება.

– ჟურნალისტს ცოტა მეტად რომ მოეკვლია, სულ მცირე, უნდა ენახა ქონებრივი დეკლარაცია, რომელიც 2012 წლიდან ივსება და 2012 წელსვე მაქვს აღნიშნული, რომ იქ იყო არა მხოლოდ ნაკვეთი, არამედ 250 კვადრატული მეტრი ფართის საცხოვრებელი სახლი. 2016 წლის ჩანაწერში არის მხოლოდ და მხოლოდ ბოლო შესწორება, რომლის საფუძველი იყო დუშეთის საკრებულოს 2013 წლის 14 მაისით დათარიღებული ბრძანება, რომელიც თავის მხრივ 2013 წლის მარტის აზომვით ნახაზს ეფუძნება. მიწის ნაკვეთი, აშენებული პირველი სართულით 2007 წლის 6 აგვისტოს შევიძინე. შენობა დარეგისტრირებული არ იყო და ამიტომ ფიქსირდებოდა მხოლოდ მიწის ნაკვეთი. სწორედ ამიტომ, როგორც კი დავასრულე მშენებლობა 2010 წელს, დავიწყე ლეგალიზაციის პროცესი. 2013 წელს, მინისტრად ჩემი დანიშვნიდან 3 თვეში უკვე დასრულებული იყო აზომვითი ნახაზი, ხოლო მაისში გამოიცა საკრებულოს შესაბამისი ბრძანება. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩემი რეპუტაცია. მინდა ვთქვა, რომ ყოველთვის ყველგან ნამდვილად პატიოსნად ვიმსახურე. აქედან გამომდინარე ვაკეთებ ასეთ დაწვრილებით კომენტარს. თუმცა, სამწუხაროდ, პოლიტიკამ გადასანსლა ყველაფერი საქართველოში და არ დატოვა არც ერთი ამოსუნთქვის საშუალება. დარწმუნებული ვარ, ეს იყო პოლიტიკური რეპორტაჟი, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ტელეკომპანიას გუშინვე დაუკავშირდა მისი წარმომადგენელი და მიაწოდა აღნიშნული ინფორმაცია, თუმცა ის არც ეთერში გასულა და არც ვებგვერდზე განთავსებულა.

კვირიკაშვილი იმედოვნებს, რომ მისი კომენტარის შემდეგ ტელეწამყვანის, ხელმძღვანელის და ჟურნალისტს მიერ შესაბამისი განცხადებები გაკეთდება.

– ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, სიმართლე გაირკვეს და ჩვენმა მოსახლეობამ იცოდეს, რომ მათი პრემიერ-მინისტრი პრემიერმინისტრობის პერიოდში არ გამდიდრებულა, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა საბურთალოს ოლქის 24-ე საარჩევნო უბანზე ჟურნალისტებთან საუბრისას.

ირაკლი ბერძენაძე: „ეროვნული ბანკის რეგულაციებს ბიზნესი ჩიხში შეჰყავს“

– ეროვნული ბანკის რეგულაციებს ჩიხში შეჰყავს ბიზნესი და, მეორე მხრივ, ჩიხში შეჰყავს ინდივიდუალური პირი, რომელსაც არ აქვს ძალიან მაღალი შემოსავალი და საჭიროებს სწრაფ ფულად სახსრებს, – განაცხადა არასაბანკო ფინანსურ დაწესებულებათა ასოციაციის ხელმძღვანელმა ირაკლი ბერძენაძემ რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას.

მისი თქმით, დაუყონებლივ უნდა მოხდეს რეგულაციების ორი წლით გადავადება, რათა გაგრძელდეს კონსულტაციები როგორც საბანკო, ისე არასაბანკო ორგანიზაციებთან.

– ეროვნული ბანკის მიერ ინიცირებული რეგულაციები ძალიან ცუდ მდგომარეობაში აყენებს როგორც საბანკო, ისე არასაბანკო სექტორს. 1-ლი ნოემბრიდან ძალაში შესული რეგულაციები გარკვეულწილად შეზღუდავს ფინანსურ რესურსთან წვდომას მოქალაქეებისთვის და, მეორე მხრივ, შეამცირებს ბანკების საკრედიტო დაბანდებას.

ჩვენ ჭარბვალიანობის მიზეზით ვზღუდავთ ფინანსურ რესურსებთან წვდომას, მაგრამ გვავიწყდება, რომ აღნიშნული მკაცრი რეგულაცია არ შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე თვეში, ამას უნდა ჰქონოდა წინასწარი მოსამზადებელი პერიოდი, სამწუხაროდ, ეროვნული ბანკი ცდილობ მარტივად, მოკლე პერიოდში გაატაროს ის რეგულაციები, რომლებიც წინასწარ არ არის გააზრებული.

იპოთეკურ სესხებში საშუალო გადახდილი თანხა 500-800 ლარამდე მერყეობს, გამოდის, რომ ახალი რეგულაციით ადამიანის შემოსავალი 2000 ლარი მაინც უნდა იყოს, რომ სესხი დაფაროს. რაც ფაქტობრივად, ცდება ჩვენი ქვეყნის საშუალო ყოველთვიურ შემოსავალს. პრობლემა უჩნდება სამშენებლო კომპანიებსაც, თუ დღემდე სამშენებლო კომპანიები 10-15%-იან წინასწარ შენატანებზე იყვნენ თანახმა, 1-ლი ნოემბრიდან აღნიშნული მაჩვენებელი გაიზრდება 30-40%-მდე. გამოდის, რომ ეროვნული ბანკის რეგულაციებს ჩიხში შეჰყავს ბიზნესი და მეორე მხრივ, ჩიხში შეჰყავს ინდივიდუალური პირი, რომელსაც არ აქვს ძალიან მაღალი შემოსავალი და საჭიროებს სწრაფ ფულად სახსრებს, – ამბობს ირაკლი ბერძენაძე.

ირაკლი ბერძენაძის თქმით, არ შეიძლება საბანკო სექტორსა და არასაბნკო ფინანსურ სექტორში ერთნაირი თამაშის წესებით მოქმედება, როგორც ბერძენაძე ამბობს, რეგულაციები ასევე მძიმედ შეეხება არასაბანკო ფინანსურ ორგანიზაციებს.

– ერთადერთი გამოსავალი არის ის,რომ ეროვნული ბანკის რეგულაციები მთავრობამ სწორად გააანალიზოს და გაიაზროს, მოხდეს მათი გადავადება მინიმუმ ორი წლის ვადით. ამ დროის განმავლობაში მოხდება ამ საკითხების ეტაპობრივი გავლა და კოორდინირება სექტორთან. ამ რეგულაციების მიღებამდე არ ყოფილა კონსულტაციები, განსაკუთრებით არასაბანკო საფინანსო სექტორთან. რეგულაციას გარკვეულწილად ბანკები აიტანენ, მაგრამ არასაბანკო ორგანიზაციებს გაუჭირდებათ ამის გადატანა, თან არასაბანკო ორგანიზაციების უკან დგას მრავალი რიცხვი ინვესტორებისა, რომლებსაც ფაქტობრივად, ვწირავთ, – განაცხადა ირაკლი ბერიანიძემ.

პატრიარქი: „უნდა ვიცოდეთ, რომ ადამიანს სხვისი დამცირება არაფერს მისცემს“

– ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სხვისი დამცირება არაფერს მისცემს ადამიანს. პირიქით, სხვისი ამაღლება აღგამაღლებთ თქვენც, – ასე გამოეხმაურა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ქადაგებისას საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო მოვლენებსა და საპრეზიდენტო კანდიდატების უხეშად მოხსენების ფაქტებს.

სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ლიტურგია დასრულდა. უწმინდესმა მრევლს მიმართა და განაცხადა, რომ დღეს განსაკუთრებული დღეა, რადგან საქართველო ირჩევს პრეზიდენტს.

– განსაკუთრებული დღეა – ქართველი ერი ქართველი ხალხი, საქართველო ირჩევს პრეზიდენტს. ეს წინა დღეები მძიმე იყო არა მარტო იმათთვის, ვინც იყო კანდიდატი პრეზიდენტობის, არამედ მძიმე იყო მთელი ერისთვის, ჩვენი ხალხისთვის. ხშირი შემთხვევა იყო, როდესაც უხეშად იხსენიებდნენ ერთმანეთს და ეს უნდა გავითვალისწინოთ მომავალში. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სხვისი დამცირება არაფერს მისცემს ადამიანს. პირიქით, სხვისი ამაღლება აღგამაღლებთ თქვენც.

მაცხოვარი ჩვენი ბრძანებს: „ითხოვდით და მოგეცეთ თქვენ“.

რა უნდა ვთხოვოთ უფალს? უნდა ვთხოვოთ სიმშვიდე, შვილების კეთილდღეობა.

წმინდა მამები ამბობდნენ: „ჰე უფალო მომანიჭე განცდაი, თვისთა ცოდვათა და არა განკითხვა ძმისა ჩემისა„. უნდა დაინახოს ადამიანმა საკუთარი თავი. ძველი რომაელები ამბობდნენ: „შეიცანი თავი შენი“. უნდა შევიცნოთ თავი ჩვენი და არ უნდა დავინახოთ ან ნაკლებად დავინახოთ ნაკლი ჩვენი მოყვასის. უნდა დავინახოთ მისი კეთილი მხარე“, – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, საპატრიარქოში მათ დაანთეს სანთელი და შესთხოვეს უფალს, რომ უფალმა მშვიდობა მისცეს საქართველოს. ასევე, წაიკითხეს ფსალმუნიდან ერთ-ერთი კანონი.

– გადავშალე და გაიხსნა მე-14 კანონი. საოცარია, რომ ამ მე-14 კანონში არის თითქოს საქართველოს ცხოვრება, წარსული და მომავალი, განცდები და სიხარული. ეს საოცარი ფსალმუნები კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ უფალი ჩვენთან არის. უფალი მფარველობს საქართველოს, – ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, ეს კანონი არის წინასწარმეტყველება საქართველოს შესახებ. მან მიმართა მრევლს, ყოველდღე წაიკითხონ მე-14 კანონი.

ქადაგების შემდეგ პატრიარქმა წინასწარ მომზადებული პურის სუფრა აკურთხა და განაცხადა, რომ ტაძარში მყოფს ყველას შეხვედროდა და სახლშიც წაეღოთ.

8 წლის გოგონას მკვლელობაში ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა

გორში 8 წლის გოგონას მკვლელობაში ბრალდებულ იაგო ნებიერიძეს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

იაგო ნებიერიძეს 8 წლის გოგონას მკვლელობის საქმეზე გამოძიება 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ედავება, რაც წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

სასტიკი მკვლელობა გორში 25 ოქტომბერს მოხდა.

დათა ვანიშვილი ხმის მისაცემად მავთულხლართებზე გადმოიპარა

სოფელ ხურვალეთში, საოკუპაციო ხაზს მიღმა მცხოვრები დათა ვანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მავთულხლართებზე გადმოიპარა. როგორც მან Qartli.ge-სთან საუბრისას აღნიშნა, ის კანდიდატი შემოხაზა, რომელიც უთხრეს.

– არჩევნებზე გადავედი და პასპორტი აქ დამრჩა. უკან დავბრუნდი. აქედან ქალმა მომაწოდა და ისევ გადამიყვანეს. ვისზეც მითხრეს, იმას მომაწერინეს ხელი. გამაფრთხილეს, არ დაგინახოთ, გადახვიდე და ხმა მისცეო, მაინც გადავედი. ჩემიანებია, კაცო, – ამბობს დათა ვანიშვილი.

ავარია თელავში — დაღუპულია მამაკაცი

თელავში აღმაშენებლის გამზირზე „ოპელის“ მარკის მსუბუქი ავტომობილი 69 წლის მამაკაცს იმ დროს დაეჯახა, როდესაც ის გზის გადაკვეთას ცდილობდა.

შემთხვევის შედეგად მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

ზაზა სარალიძე გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

მთავარ პროკურატურაში „ნიუპოსტს“ განუცხადეს, რომ ზაზა სარალიძე თავისუფალია. უწყების ცნობით, მას ბრალი დღეს წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შუამდგომლობით პროკურატურა სასამართლოს უახლოეს დღეებში მიმართავს.

გორში საარჩევნო უბანზე ცხენით მისულმა ამომრჩეველმა ხმა ვერ მისცა

გორში, №21 საარჩევნო უბანზე, რომელიც სკოლის შენობაშია, ამომრჩეველი ცხენით მივიდა. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, სკოლის დარაჯმა მას ეზოში ცხენით შესვლის უფლება არ მისცა. განაწყენებული მხედარი უკან ხმის მიცემის გარეშე გაბრუნდა.

– კომბინატის ერთ-ერთ სკოლაში სასწავლო იპოდრომზე ვმუშაობ. სახლში ვიყავი და პირადობის მოწმობა წამოვიღე სპეციალურად, აქ კი მითხრეს, ცხენის გაჩერება არ შეიძლებაო. აღარც შევსულვარ შიგნით, – ციტირებს Qartli.ge ამომრჩევლის კომენტარს.

28 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები იმართება, რომელშიც პრეზიდენტობის 25 კანდიდატი მონაწილეობს. არჩევნების ჩასატარებლად 3.703 საარჩევნო უბანია შექმნილი, რეგისტრირებულია 3.518.877 ამომრჩეველი.

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21

მარნეულში ერთ-ერთ საარჩევნო უბანთან ინციდენტის გამო 2 პირი დააკავეს

მარნეულში, სოფელ იმირის 59-ე საარჩევნო უბანში მომხდარი ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების გამო პოლიციამ „ქართული ოცნებისა“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, სოფელ იმირიდან 112-ში შევიდა შეტყობინება 59-ე საარჩევნო უბანში კომისიის წევრის ცემასთან დაკავშირებით. შსს-ს ცნობით, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ აღნიშნულ უბანზე, რის შემდეგაც დადგინდა, რომ პარტია ნაციონალური მოძრაობის წევრ ფერან კარაევსა და პარტია „ქართული ოცნების“ წევრ ხალადინ ჰუსეინოვს შორის მოხდა სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირება.

– პოლიციის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დაეცვათ საზოგადოებრივი წესრიგი, არ დაემორჩილნენ, რის გამოც ორივე მხარის წარმომადგენელი დაკავებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით, – ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობას გულისხმობს.

საარჩევნო უბანში მყოფმა ერთ-ერთმა დამკვირვებელმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ წევრი ამომრჩევლებს 48 ნომრის შემოხაზვისკენ მოუწოდებდა. კიდევ ერთი დამკვირვებელი ამბობს, რომ საარჩევნო უბნებში არეულობას მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნების მისვლა იწვევს.

იმირის საარჩევნო უბანში მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მამუკა ნავერიანი იმყოფებოდა. „აქ ვარ იმისთვის, რომ თვალი მივადევნო არჩევნების ობიექტურად მსვლელობის პროცესს, კანონის ფარგლებში“, – უთხრა ნავერიანმა ჟურნალისტებს.

საქართველოში 4.2 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა

28 ოქტომბერს საქართველოში 4.2 მაგნიტუდის მიწისძვრა მოხდა. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მიწისქვეშა ბიძგები თბილისის დროით, 13:03 საათზე დაფიქსირდა.



მათივე ცნობით, მიწისძვრის ეპიცენტრი ბორჯომთან იყო.

სოფელ მატანში დენის დარტყმის შედეგად 23 წლის მამაკაცი გარდაიცვალა

ახმეტის მუნიციპალიტეტში უბედური შემთხვევა მოხდა. სოფელ მატანში დენის დარტყმის შედეგად 23 წლის მამაკაცი გარდაიცვალა.

„ინტერფესნიუსის“ ინფორმაციით, შემთხვევის დროს ახალგაზრდას ურმით შეშა მიჰქონდა, რა დროსაც მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს გამოედო და ადგილზე გარდაიცვალა. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობენ.

მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ავარია ხაშურთან — დაშავებულია 6 პირი, მათ შორის 3 მცირეწლოვანი

ავარია ხაშურთან – დაშავებულია 6 პირი, მათ შორის 3 მცირეწლოვანი.



შემთხვევის შედეგად დაშავებულები ხაშურის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

„ნიუპოსტი“ დეტალებს შინაგან საქმეთა სამინისტროში არკვევს.

„პანკისის სოფელ ომალოში წააგო სალომემ.... თემირლანის მკვლელი უნდა დაისაჯოს!“

ჟურნალისტ მაკა მოსიაშვილის ინფორმაციით, პანკისის ხეობის ერთ-ერთ სოფელში „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა წააგო.



„პანკისი, სოფელი ომალო – წააგო სალომემ.... თემირლანის მკვლელი უნდა დაისაჯოს! აი, ესაა პასუხი!“ – წერს მოსიაშვილი სოციალურ ქსელში.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ტრამპი: „ჩემი პრეზიდენტად არჩევა რუსებისათვის ყველაზე დიდი დარტყმაა!“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჩრდილოეთ კაროლინაში ჩავიდა. იქ ის თავის მომხრეებს შეხვდა. პრეზიდენტმა მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა. მან განაცხადა, რომ მუდამ აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს იცავდა და მომავალშიც ასე იქნება.

– სამშობლო ჩემთვის უმაღლესი ფასეულობაა! ამერიკა უწინარეს ყოვლისა, – ტრამპის ამ სიტყვებს მქუხარე აპლოდისმენტები მოჰყვა.

პრეზიდენტი რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებზე დაწვრილებით შეჩერდა. მან თქვა, რომ რიგი ამერიკული მედიასაშუალების საქმიანობით გულნატკენია.

– ისინი ამტკიცებენ, რომ თითქოს არჩევნებში რუსების მხარდაჭერით გავიმარჯვე! სინამდვილეში ჩემი პრეზიდენტად გასვლა რუსეთისათვის ყველაზე მძიმე დარტყმა იყო, – ამბობს პრეზიდენტი.

ტრამპმა თქვა, რომ მისი პოზიცია სირიის ან უკრაინის მიმართ ბევრად უფრო ხისტია, ვიდრე ობამასი. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მან ასადის მხედრობას დაარტყა, როცა ამ უკანასკნელმა ქიმიური იარაღის გამოყენება გაბედა. პრეზიდენტმა ასევე მიუთითა, რომ უკრაინის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ბევრი გააკეთა.

– ჩვენ უკრაინას ლეტალური იარაღი მივაწოდეთ. ობამა ამას ვერ ბედავდა, – ამბობს აშშ-ის პრეზიდენტი.

ტრამპმა გამორიცხა რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გაუქმება მანამ, სანამ რუსები არ გაიყვანენ ჯარს დონბასიდან, ხოლო ყირიმს უკრაინას არ დაუბრუნებენ.

– აშშ-ის მიერ უკრაინის მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება, – ამბობს ტრამპი.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთთან შეთანხმება მხოლოდ იმ პირობებში მოხდება, რაც ვაშინგტონს აწყობს. კერძოდ, რუსეთმა უნდა შეწყვიტოს თავისი აგრესიული პოლიტიკა, გაიყვანოს ჯარი დონბასიდან, დაუბრუნოს ყირიმი უკრაინას, ხელი შეუწყოს ახლო აღმოსავლეთში ირანის დესტრუქციული მოქმედებების შეწყვეტას. ტრამპმა აღნიშნა, რომ აშშ-ის ყველა ბერკეტი აქვს საიმისოდ, რათა აიძულოს მოსკოვი, ამას დათანხმდეს.

– ახლა კარტები ჩვენს ხელშია, – თქვა ტრამპმა.

ექსპერტი დიმიტრი გორდონი ხაზს უსვამს, რომ აშშ-მ რუსეთზე ზეწოლა გააძლიერა.

– ტრამპი მოსკოვს, ფაქტობრივად, ყელში სწვდა, – ამბობს გორდონი.

ამისი ნათელი მაგალითია განცხადება საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების შესახებ შეთანხმებიდან გასვლაზე. ამით აშშ რუსეთს გამალებულ შეიარაღებაში ითრევს. დღევანდელი რუსეთი ამას ვერ გაუძლებს, ისევე, როგორც ამას თავის დროზე სსრ კავშირმა ვერ გაუძლო. მოსკოვიც იძულებული გახდება, ვაშინგტონის პირობები მიიღოს.

– ბუნებრივია, პუტინი ერთბაშად არ დათანხმდება. უახლოესი 2-3 წელიც ბრძოლის წელი იქნება, – წერს გორდონი.

სროლა პიტსბურგის სინაგოგაში

პიტსბურგის სინაგოგაში სისხლიანი ექსცესი მოხდა. საღამოს ლოცვის დროს სინაგოგაში უცნობი მამაკაცი შეიჭრა და სროლა ატეხა, თან გაჰკიოდა, რომ ყველა ებრაელი უნდა მოკვდეს.

– ატეხილი სროლის შედეგად 8 ადამიანი დაიღუპა, 12 დაშავდა, – იტყობინება „ამერიკის ხმა“.

თავდამსხმელი დაიკავეს. ის 46 წლის ვინმე რობერტ ბაუერსი აღმოჩნდა. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

მატისმა ტრამპს მხარი დაუჭირა

აშშ-ს ჰონდურასიდან ლტოლვილთა ქარავანი უახლოვდება. პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ აშშ-მექსიკის საზღვრის დაცვა გაძლიერდება. საამისოდ საზღვართან აშშ-ის რეგულარული არმიის ნაწილებს გადაისვრიან. თავდაცვის მინისტრმა მატისმა განაცხადა, რომ პრეზიდენტს ამ საქმეში მხარს უჭერს.

– არმიის ნაწილებს აშშ-მექსიკის საზღვართან გადაისვრიან, – ამბობს მატისი.

ანგელა მერკელი კიევში ჩავა

1 ნოემბერს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი კიევში ჩავა. ის შეხვდება პრეზიდენტ პოროშენკოს, პარლამენტის სპიკერ პარუბიის, პრემიერ გრისმანს, საგარეო საქმეთა მინისტრ კლიმკინს.

მერკელ-პოროშენკოს მოლაპარაკებების ძირითადი თემები იქნება გერმანია- უკრაინის ურთიერთობები, დონბასში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩაყენება და ა.შ.

პეტრო პოროშენკო ალექსანდრე ლუკაშენკოს შეხვდა

გომელში ერთმანეთს უკრაინისა და ბელორუსის პრეზიდენტები შეხვდნენ. ორივე ლიდერი უკრაინა-ბელორუსის რეგიონების სამიტს დაესწრო. პოროშენკოსთან შეხვედრისას ბელორუსის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მინსკი კვლავაც მზად არის, მშვიდობისმყოფელის როლი ითამაშოს.

– ახლა იმისი დრო არ არის, რომ გავარკვიოთ, თუ ვინაა მართალი! დონბასში მიმდინარე სამოქალაქო კონფლიქტი რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეჩერდეს, – თქვა ლუკაშენკომ.

პოროშენკომ თავის ბელორუს კოლეგას მიუგო, რომ დონბასში არა სამოქალაქო კონფლიქტი, არამედ რუსეთ-უკრაინის ომი მიმდინარეობს.

– ომის შეწყვეტა ძალიან მარტივად შეიძლება! რუსეთმა აგრესია უნდა შეწყვიტოს, – თქვა პოროშენკომ.

შეხვედრისას პატარა ექსცესიც მოხდა. უკრაინის პრეზიდენტმა ლუკაშენკოს შესთავაზა, ბელორუსულ ენაზე ესაუბრა, თავად უკრაინულად ილაპარაკებდა, თარჯიმნები კი თარგმნიან, როგორც ეს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებშია მიღებული. ლუკაშენკომ უპასუხა:

– არ არის საჭირო.

ბელორუსის პრეზიდენტმა საუბარი რუსულ ენაზე განაგრძო.

ბაშკირეთის გენერალური პროკურორის მოადგილე დააკავეს

ფსბ-ს თანამშრომლებმა შერემეტიევოს აეროპორტში ბაშკირეთის გენერალური პროკურორის მოადგილე გორბუნოვი დააკავეს. მას 10 მილიონი მანეთის ქრთამის აღება ედება ბრალად. გორბუნოვი ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

მოსკოვის ბასმანის რაიონის სასამართლომ გორბუნოვს 2 თვით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გენერალური პროკურორის ექსმოადგილის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

პაშინიანი ბოლტონის წინააღმდეგ

აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების დარგში ჯონ ბოლტონმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი აზერბაიჯანს თავის სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევს. სომხეთის მიმართ მსგავსი გამოთქმებისაგან მან თავი შეიკავა. ამავე დროს, ბოლტონმა განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სომხეთი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში უფრო რადიკალურ ნაბიჯებს გადადგამს. სომხეთის პრემიერის მოვალეობის შემსრულებელ ნიკოლ პაშინიანს ეს არ მოეწონა.

– ბოლტონს უფლება არა აქვს, ჩემი სახელით ილაპარაკოს, – თქვა მან.

პაშინიანმა აღნიშნა, რომ ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირება სომხეთის, მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის მონაწილეობით უნდა მოხდეს.

რუსეთი უკრაინაში გადატრიალებას გეგმავს?!

ყოფილი რუსი ბიზნესმენი დაშუტინი, რომელიც დღეს კანადაში ცხოვრობს, ამტკიცებს, რომ რუსეთი უკრაინაში გადატრიალებას ამზადებს.

– უკრაინის პრეზიდენტად პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი არ აირჩიეს. პუტინიც გადატრიალებას გეგმავს, – ამბობს დაშუტინი.

ექსბიზნესმენის აზრით, სქემა შემდეგი იქნება: რუსული ფულით უკრაინის ყველა საოლქო ცენტრში სტუდენტებს ქუჩაში გამოიყვანენ; ამის შემდეგ ადგილობრივი საბჭოების შენობების შტურმი დაიწყება; ყველაფერი კი კიევში სამხედრო გადატრიალებით დაგვირგვინდება.

– პუტინისათვის მნიშვნელობა არ აქვს, სისხლი დაიღვრება თუ არა! მისთვის მთავარი უკრაინაზე გავლენის აღდგენაა, – თქვა დაშუტინმა.

სამიტი სტამბოლში

სტამბოლის სამიტის ძირითადი თემა სირიის კონფლიქტის დარეგულირება იყო. მასში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, თურქეთის წარმომადგენლებმა. მიღებულ იქნა კომუნიკე, სადაც ნათქვამია, რომ სირიის კონფლიქტი მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს. ეს გაეროს ეგიდით მოხდება. თავდაპირველად შეიქმნება ერთიანი კომიტეტი, სადაც როგორც გაეროს, ასევე კონფლიქტში მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენლებიც შევლენ.

– სირიიდან გადახვეწილი ლტოლვილები ქვეყანაში უნდა დაბრუნდნენ. ხელისუფლებამ საამისოდ პირობები უნდა შექმნას, – ნათქვამია კომუნიკეში.

პროცესი თავისუფალი დემოკრატიული არჩევნებით დასრულება, რაც არსებულ კონფლიქტს წერტილს დაუსვამს. პრესკონფერენციაზე ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ ახლა მთავარია, სტაბილური მშვიდობა დამყარდეს. რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ იდლიბის შტურმი არ დაიწყება, თუმცა ამის შემდეგ მუქარასაც არ მოერიდა:

– თუ ვინმე ძალით ბაშარ ასადის დამხობას მოიწადინებს, რუსეთი ასადს იარაღითა და ჯარით დაეხმარება, – თქვა მან.

ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ სამიტს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და გავლენიანი სახელმწიფო, აშშ, არ დაესწრო.

– ვაშინგტონის გარეშე სტამბოლის კომუნიკე ცარიელ ქაღალდად დარჩება, – მიიჩნევენ ექსპერტები.

დიმიტრი დომანი რუსეთს გადასცეს

ჩერნოგორიაში რუსეთის საკალათბურთო ნაკრების ყოფილი მოთამაშე, შემდგომში კალათბურთის ფედერაციის ყოფილი ტექნიკური დირექტორი დიმიტრი დომანი დააკავეს. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო მას კალათბურთის ფედერაციის კუთვნილი თანხის, 33 მილიონი მანეთის მითვისებას სდებს ბრალად.

თანახმად უკანასკნელი ინფორმაციისა, დომანი რუსეთს გადასცეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტი, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საბურთალომ წაიფორხილა, დინამო არასაფეხბურთო ანგარიშით იგებს

დილა-საბურთალო 0:0

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

დილა: გუგეშაშვილი, ჩადუნელი, სანტოსი, გრიგალაშვილი, სუხიაშვილი, რაზმაძე, ქავთარაძე, გაგუა (რაჟამაშვილი 79), ნონიკაშვილი, რიბეირო (კორიფაძე 39), ჯუფი (ნონდი 61)

საბურთალო: კუპატაძე, მარგველაშვილი, ლაკვეხელიანი, ჩაბრაძე, რეხვიაშვილი, ტერა, გორგიაშვილი (ალთუნაშვილი 68), გონსალვეში (თარგამაძე 79), დიასამიძე, დვალიშვილი (ვოლკოვი 58), კოხრეიძე

ეროვნულ ლიგას ინტრიგა დაუბრუნდა, გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე საბურთალომ დილასთან უგოლო ფრე ითამაშა და მდევარ დინამოს წამოწევის საშუალება მისცა.

გამარჯვება ორივე გუნდს სჭირდებოდა: დილა ევროზონაში მოსახვედრად, საბურთალო კი ჩემპიონობის გასაფორმებლად იბრძვის. გუნდების მოტივაციიდან გამომდინარე, თამაში დაძაბული გამოვიდა და გოლის გასვლის შანსი ორივე კარში იყო, თუმცა ტაბლოზე ანგარიში უცვლელი დარჩა.

45-ე წუთზე დილას ლეგიონერმა გაიარა ჯუფიმ ბურთი სტუმართა კარში შეგზავნა, თუმცა, მსაჯის გადაწყვეტილებით, აღნიშნულ მომენტამდე რამდენიმე წამით ადრე ბექა ქავთარაძემ მეკარე ლაზარე კუპატაძესთან ორთაბრძოლაში არასამართლიანად იმოქმედა და ავტომატურად გოლიც გაუქმდა.

შედეგად, საბურთალო, რომელიც გამარჯვებით ტიტულისკენ უდიდესი ნაბიჯის გადადგმა შეეძლო, 67 ქულა მოაგროვა და დინამოს 5 ქულით უსწრებს, თუმცა, ჩვენი ქვეყნის ყველაზე ტიტულოვან გუნდს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

სამტრედია-დინამო 1:8

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 შულაია (19), 0:2 ვაწაძე (33), 0:3 ზივზივაძე (41), 1:3 ლიპარტია (43), 1:4 თოთაძე (48), 1:5 შულაია (61), 1:6 ზივზივაძე (69), 1:7, 1:8 ივანიშვილი (72, 88)

სამტრედია: კუპატაძე, ფატიჩი (შალიკაშვილი 65), ენდელაძე, გოგიაშვილი, ჩაჩუა, მამასახლისი, კერძევაძე, გორელიშვილი (ბურკაძე 73), კუჭუხიძე (კოშმანი 52), ფანცულია, ლიპარტია

დინამო: სიკაჩი, რუხია, თოთაძე, ლოჩოშვილი, კობოური, ნინუა, ივანისენია (ზარია 80), შენგელია, შულაია (ივანიშვილი 66), ვაწაძე (ქარდავა 73), ზივზივაძე

თბილისელებმა შეხვედრა აქტიურად დაიწყეს და პირველივე წუთებზე სახიფათო შეტევა განახორციელეს. მე-9 წუთზე დედაქალაქელების შეტევა, გუჯა რუხაიამ ჩაწოდა და მათე ვაწაძის ნახევარბრუნში დარტყმული ოდნავ გადაცდა სამტრედიელთა კარს. ცოტა ხანში ისევ ვაწაძის შანსი, რომელიც ისევ ვერ გამოიყენა. მე-19 წუთზე დინამოელთა შეტევებმა შედეგი გამოიღო – აკაკი შულაია მარჯვენა ფრთიდან ცრუ მოძრაობით შეიჭრა საჯარიმოში, ძლიერად გაისროლა და დედაქალაქელები დააწინაურა. შემდეგ დავით კუპატაძემ იხსნა საკუთარი გუნდი, როდესაც დმიტრო ივანისენიას ერთი შეხებით დარტყმული მოიგერია. საპასუხოდ გიორგი ფანცულაიას სახიფათო დარტყმა სტეპან სიკაჩმა გააქვავა. მალე დინამომ თავისი უპირატესობა ორამდე გაზარდა – რუხაიას მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდებული ერთი შეხებით ვაწაძემ გადაგზავნა სამტრედიელთა კარში. ამის შემდეგ მიჯრით ორჯერ ჯერ ლევან შენგელიას, შემდეგ კი აკაკი შულაის გაუცუდდათ მომენტები. 41-ე წუთზე ბუდუ ზივზივაძის 2 შანსი და ერთი გოლი. პირველ შემთხვევაში ფორვარდმა ძელს გაარტყა, მეორედ კი ანგარიში სამამდე გაზარდა. სამტრედიამ ტაიმის ბოლოს ერთი ბურთი გაქვითა, გოლი ჯაბა ლიპარტიამ გაიტანა. შესვენებამდე შულაიას ჩაწოდებულს ვაწაძემ დაჰკრა თავი და მასპინძელთა კარი გოლისგან ხარიხამ გადაარჩინა.

მე-2 ნახევარი 3 წუთის განახლებული იყო, როდესაც მასპინძელთა კარში ლაშა თოთაძემ საფირმო საჯარიმო დარტყმა გოლად გარდასახა. 58-ე წუთზე სამტრედიელთა კარის ხარიხამ ამჯერად დათო კობოურს არ გაატანინა. სამიოდე წუთში ბუდუ ზივზივაძე გაექცა მეურვეს, შეიჭრა საჯარიმოში, ბურთი აკაკი შულაიას გადააწოდა და დინამომ მეხუთედ აიღო სამტრედიელთა კარი. ისევ თბილისელთა შეტევა, ზივზივაძე პირისპირ გადის მეკარესთან და მე-6 გოლი გააქვს. ისევ 3 წუთი და მეშვიდე გოლი შეცვლაზე შემოსული გიორგი ივანიშვილის ანგარიშზეა. მანვე 88-ე წუთზე დუბლი შეასრულა შეხვედრაც 8:1 დასრულდა.

რუსთავი-ჩიხურა 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 კაკუბავა (36), 0:2 გაბედავა (64პ), 1:2 ქავთარაძე (78პ)

რუსთავი: სეფიაშვილი, პაპავა, სილაგაძე, ქავთარაძე, კვარაცხელია, ფონიავა (ჩუკვურა 74), ციცქიშვილი (ლობჯანიძე 71), მარცვალაძე (ჩოგაძე 67), კირკიტაძე, კილასონია, ლ.გადრანი

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი (კახაბრიშვილი 45), მირცხულავა, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, გაბედავა, ბუღრიძე (ლეკვთაძე 75), კაკუბავა, ჩიხლაძე (დობროვოლსკი 88), ჩიკვაიძე, სარდალიშვილი

რუსთავმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე საჩხერის ჩიხურას უმასპინძლა და ანგარიშით 1:2 დამარცხდა. რუსთავი კი უკვე მე-7 მატჩია ვერ იგებს, ხოლო ჩიხურამ ზედიზედ მეოთხედ იმარჯვა.

რუსთაველები, რომლებიც ნომინალური მასპინძლის როლში იმყოფებოდნენ, ეროვნულ ლიგაში დასარჩენად იბრძვიან, საქართველოს თასის მოქმედი გამარჯვებულის მიზანი კი სამეულში მოხვედრა და ევროსარბიელის საგზურის მოპოვება გახლავთ.

მატჩი საჩხერელთა უპირატესობით დაიწყო. 36-ე წუთზე კუთხურიდან დემურ ჩიხლაძის ჩაწოდებული ბურთი კარში ზუსტად ლევან კაკუბავამ გადაგზავნა. 64-ე წუთზე ჩიხურამ წინ ორბურთიანი უპირატესობით გასვლა მოახერხა – პენალტი ზუსტად ეროვნული ლიგის საუკეთესო ბომბარდირმა გიორგი გაბედავამ შეასრულა და მიმდინარე გათამაშებაში მე-17 გოლი გაიტანა.

რუსთავი მატჩის მიწურულს გააქტიურდა, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც 78-ე წუთზე ბექა ქავთარაძემ 11-მეტრიანი დარტყმის გამოყენება შეძლო. დარჩენილი დრო მასპინძელმა გუნდმა შეტევაში გაატარა და რამდენიმე რეალური საგოლე ეპიზოდიც შექმნა. ყველაზე აქტიური ცვლილებაზე შემოსული თემურ ჩოგაძე იყო, მის გარდა კარგი შანსი ხვიჩა კვარაცხელიასაც ჰქონდა, რომელმაც ბურთი ხარიხას გაარტყა. მიუხედავად რუსთაველთა მცდელობისა, გუნდმა ანგარიშის გათანაბრება მაინც ვერ შეძლო.

კოლხეთი-სიონი 1:1

ფოთი. პარკი არენა

1:0 აფხაზავა (76), 1:1 ხმალაძე (90)

კოლხეთი: კნიგა, კერელეიშვილი (მთივლიშვილი 85), ძაძამია (დოროშენკო 61), ციკოლია, აფხაზავა, კაკულია, აშორტია (ხატიაშვილი 81), კაბორე, იმნაძე, პრიჩინენკო, ტყემალაძე

სიონი: ზარქუა, მინდორაშვილი, თომაშვილი, გურეშიძე, კოშკაძე (სიხარულია 71), ხმალაძე, კირკიტაძე, მახარობლიძე, ლეჟავა (ისიანი 46), დათუნაიშვილი (უგულავა 81), გიორბელიძე

მატჩი სანახაობას მოკლებული იყო და სწორედ ისეთი შეხვედრა გამოდგა, როგორ ჩემპიონატის ქვედა ნაწილში მყოფ გუნდებს უნდა ეთამაშათ. აღსანიშნავია, რომ ორივე გოლი მეორე ნახევარში გავიდა. 76-ე წუთზე ლევან კაკულიას ჩამოწოდებულ კუთხურს, მურად აფხაზავა გამოეხმაურა, რომელმაც შესანიშნავი თავურით გოლი გაიტანა.

ამის შემდგომ სტუმრები გააქტიურდნენ და ბევრს ეცადნენ. 92-ე წუთზე თემურ შალამბერიძის შეგირდებმა საწადელს მიაღწიეს. მარცხენა ფრთიდან დათო კირკიტაძემ დაბალი ბურთი გაგზავნა საჯარიმოში, რომელსაც ლევან ხმალაძე დაუხვდა და ანგარიში გაათანაბრა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	30	21	4	5	55-25	67
2.დინამო	29	19	5	5	61-25	62
3.ჩიხურა	30	16	5	9	46-28	53
4.დილა	30	13	11	6	49-36	50
5.ტორპედო	28	14	7	7	45-23	49
6.ლოკომოტივი	29	9	6	14	34-47	33
7.რუსთავი	30	6	12	12	28-38	30
8.სიონი	30	6	7	17	29-52	25
9.სამტრედია	30	3	9	18	25-61	18
10.კოლხეთი	30	4	8	18	25-62	14

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

ახალგაზრდული ნაკრები შანსს ინარჩუნებს

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო თასზე, რომელიც მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 25:23 მოუგო მოლდოვას და ბოლო ტურის წინ ისევ ინარჩუნებს პირველობის შანსს.

ბოლო ტურში ჩვენები ეთამაშებიან ირლანდიას, ხოლო უფრო მნიშვნელოვანია კოსოვო-მოლდოვის მატჩის შედეგი. მოგებისა და ფრის შემთხვევაში კოსოვო პირველ ადგილზე გავა, მაგრამ, თუ დამარცხდა, მაშინ სამი გუნდი (საქართველო, კოსოვო, მოლდოვა) 8-8 ქულას დააგროვებს და დაითვლება ბურთების სხვაობა მათ ურთიერთშეხვედრებში. საქართველოს +1 აქვს (კოსოვოსთან 21:22 და მოლდოვასთან 25:23), კოსოვოს +1 (საქართველოსთან 22:21), მოლდოვას -2 (საქართველოსთან 23:25). მოლდოველებსაც აქვთ პირველობის შანსი, მაგრამ თუ 1 ან 2 ბურთით მოიგებენ, პირველ ადგილზე ჩვენი ნაკრები გავა; თუ მოლდოვამ 3 ბურთით დაამარცხა კოსოვო, მაშინ პირველობისთვის 22 ბურთზე მეტი უნდა გაიტანოს და მხოლოდ 4 ბურთით მოგების შემთხვევაში იქნება უპირობო პირველ ადგილზე.

კოსოვოსთან უდრამატულესი მატჩის შემდეგ ქართველებს ხელები არ ჩამოუშვიათ და პირველი ტაიმი 14:11 მოიგეს. მეორის დასაწყისში მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა და წინაც გავიდა, მაგრამ დაბოლოება ჩვენი იყო. ჯერ ჯემალ იმნაძემ გაიტანა ორი გოლი სწრაფ გარღვევაში, ხოლო როდესაც მოლდოვა პრესინგზე გადავიდა, ორჯერ გამოიჩინა თავი ერეკლე არსენაშვილმა. მოლდოვამ ბოლო წამზე გაგვიტანა და თამაში 25:23 დამთავრდა.

მსოფლიო ჩემპიონატზე მოსახვედრად საჭიროა მსოფლიო თასის ევროპული ზონისა და შემდეგ ინტერკონტინენტალური ფინალის მოგება. 21-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატი 2019 წლის ივლისში გაიმართება ესპანეთში.

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

შედეგები

27 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ბრაიტონი-ვულვზი 1:0
ლივერპული-კარდიფი 4:1
საუთჰემპტონი-ნიუკასლი 0:0
უოტფორდი-ჰადერსფილდი 3:0
ფულემი-ბორნმუთი 0:3
ლესტერი-ვესტ ჰემი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	10	8	2	0	20-4	26
2.სიტი	9	7	2	0	26-3	23
3.ჩელსი	9	6	3	0	20-7	21
4.არსენალი	9	7	0	2	22-11	21
5.ტოტენჰემი	9	7	0	2	16-7	21
6.ბორნმუთი	10	6	2	2	19-12	20
7.უოტფორდი	10	6	1	3	16-12	19
8.ევერტონი	9	4	3	2	15-12	15
9.ვულვზი	10	4	3	3	9-9	15
10.მანჩესტერი	9	4	2	3	15-16	14
11.ბრაიტონი	10	4	2	4	11-13	14
12.ლესტერი	10	4	1	5	16-16	13
13.ვესტ ჰემი	10	2	2	6	9-15	8
14.ბარნლი	9	2	2	5	10-17	8
15.კრ.პალასი	9	2	1	6	5-11	7
16.საუთჰემპტონი	10	1	4	5	6-14	7
17.კარდიფი	10	1	2	7	9-23	5
18.ფულემი	10	1	2	7	11-28	5
19.ნიუკასლი	10	0	3	7	6-14	3
20.ჰადერსფილდი	10	0	3	7	4-21	3

ინგლისი. ჩემპიონლიგა

მიდლსბრო-დერბი 1:1
ბირმინგემი-უენსდი 3:1
ბოლტონი-ჰალი 0:1
ბრისტოლი-სტოკი 0:1
ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი 1:1
მილუოლი-იფსვიჩი 3:0
ნორვიჩი-ბრენტფორდი 1:0
პრესტონი-როტერჰემი 1:1
სუონსი-რედინგი 2:0
შეფილდი-უიგანი 4:2
ლიდსი-ნოტინგემი 1:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ხირონა-რაიო 2:1
ბილბაო-ვალენსია 0:0
ლევანტე-ლეგანესი 2:0
სელტა-ეიბარი 4:0
ატლეტიკო-სოსიედადი 2:0

სატურნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	10	5	4	1	12:5	19
2.ბარსელონა	9	5	3	1	23:11	18
3.ესპანიოლი	10	5	3	2	14:8	18
4.ალავესი	9	5	2	2	12:8	17
5.სევილია	9	5	1	3	20:12	16
6.ვალიადოლიდი	10	4	4	2	9:7	16
7.ლევანტე	10	5	1	4	16:15	16
8.რეალი	9	4	2	3	13:9	14
9.სელტა	10	3	4	3	17:13	13
10.ხირონა	10	3	4	3	12:14	13
11.ხეტაფე	9	3	3	3	8:8	12
12.სოსიედადი	10	3	3	4	12:13	12
13.ბეტისი	9	3	3	3	5:7	12
14.ვალენსია	10	1	8	1	7:8	11
15.ეიბარი	10	3	2	5	10:17	11
16.ბილბაო	10	1	7	2	11:15	10
17.ვილიარეალი	9	2	3	4	7:8	9
18.ლეგანესი	10	2	2	6	8:15	8
19.რაიო	10	1	3	6	10:20	6
20.უესკა	9	1	2	6	7:20	5

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

დეპორტივო-რეუსი 2:0
გრანადა-ალმერია 1:0
მალიორკა-ლას პალმასი 2:2
ლუგო-კადისი 1:2
ტენერიფე-ალკორკონი 3:2

გერმანია. ბუნდესლიგა

დორტმუნდი-ჰერტა 2:2
ჰანოვერი-აუგსბურგი 1:2
მაინცი-ბაიერნი 1:2
ფორტუნა-ვოლფსბურგი 0:3
ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი 4:0

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	9	6	3	0	29:10	21
2.ბაიერნი	9	6	1	2	17:10	19
3.გლადბახი	9	5	2	2	20:12	17
4.ვერდერი	8	5	2	1	15:8	17
5.ჰერტა	9	4	4	1	15:10	16
6.ლაიპციგი	8	4	3	1	16:9	15
7.აინტრახტი	8	4	1	3	19:12	13
8.ჰოფენჰაიმი	9	4	1	4	18:13	13
9.აუგსბურგი	9	3	3	3	16:14	12
10.ვოლფსბურგი	9	3	3	3	14:14	12
11.ფრაიბურგი	9	3	3	3	13:15	12
12.მაინცი	9	2	3	4	5:10	9
13.ლევერკუზენი	8	2	2	4	9:15	8
14.ნიურნბერგი	8	2	2	4	8:19	8
15.შალკე	8	2	0	6	5:11	6
16.ჰანოვერი	9	1	3	5	11:18	6
17.ფორტუნა	9	1	2	6	6:21	5
18.შტუტგარტი	9	1	2	6	6:21	5

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კიოლნი-ჰაიდენჰაიმი 1:1
პადერბორნი-ზანდჰაუზენი 3:3
აუე-არმინია 1:0

იტალია. სერია ა

ატალანტა-პარმა 3:0
ემპოლი-იუვენტუსი 1:2
ტორინო-ფიორენტინა 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	10	9	1	0	21:7	28
2.ნაპოლი	9	7	0	2	18:10	21
3.ინტერი	9	6	1	2	13:6	19
4.ლაციო	9	6	0	3	13:9	18
5.ფიორენტინა	10	4	3	3	16:8	15
6.სამპდორია	9	4	3	2	12:4	15
7.რომა	9	4	2	3	16:12	14
8.სასუოლო	9	4	2	3	15:14	14
9.ტორინო	10	3	5	2	12:12	14
10.ჯენოა	8	4	1	3	13:15	13
11.პარმა	10	4	1	5	10:14	13
12.ატალანტა	10	3	3	4	17:12	12
13.მილანი	8	3	3	2	15:11	12
14.სპალი	9	4	0	5	8:10	12
15.კალიარი	9	2	4	3	7:10	10
16.უდინეზე	9	2	2	5	8:13	8
17.ბოლონია	9	2	2	5	6:12	8
18.ემპოლი	10	1	3	6	9:15	6
19.ფროზინონე	9	0	2	7	6:24	2
20.კიევო	9	0	2	7	7:24	-1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ბენევენტო-კრემონეზე 2:1
ბრეშა-კოზენცა 1:0
ლივორნო-ასკოლი 1:0
პადოვა-სპეცია 0:0
პესკარა-ჩიტადელა 0:1
ფოჯა-ლეჩე 2:2
ვერონა-პერუჯა 2:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

ანჟე-ლიონი 1:2
ამიენი-ნანტი 1:2
გენგამი-სტრასბური 1:1
ლილი-კაენი 1:0
მონაკო-დიჟონი 2:2
ტულუზა-მონპელიე 0:3

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	10	10	0	0	37:6	30
2.ლილი	11	8	1	2	20:8	25
3.მონპელიე	11	6	4	1	17:7	22
4.ლიონი	11	6	2	3	18:13	20
5.მარსელი	10	6	1	3	22:16	19
6.სტ.ეტიენი	11	4	5	2	13:14	17
7.სტრასბური	11	4	4	3	19:15	16
8.ბორდო	10	4	2	4	13:13	14
9.ტულუზა	11	3	4	4	10:19	13
10.რენი	10	3	3	4	13:15	12
11.ანჟე	11	3	3	5	13:15	12
12.ნანტი	11	3	3	5	14:17	12
13.კაენი	11	2	5	4	10:14	11
14.ნიმი	11	2	5	4	14:19	11
15.დიჟონი	11	3	2	6	12:17	11
16.რეიმსი	10	2	5	3	5:10	11
17.ნიცა	10	3	2	5	7:14	11
18.ამიენი	11	3	1	7	12:20	10
19.მონაკო	11	1	4	6	12:17	7
20.გენგამი	11	1	4	6	7:19	7

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლე ავრი-ლანსი 2:1

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

დენ ჰააგი-ბრედა 1:1
გრონინგენი-პსვ 1:2
გრაიფსხაპი-ექსელსიორი 4:1
ზვოლე-ერაკლესი 1:1

ჰოლანდია. პრიმერა ლიგა

ავიში-სანტა კლარა 1:2
რიუ ავე-შავიში 1:0
ბელენენსეში-ბენფიკა 2:0

ჩესეთი. პრემიერლიგა

ურალი-უფა 1:1
არსენალი-ორენბურგი 2:2
როსტოვი-ანჟი 1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-ბაზელი 1:3
იანგ ბოიზი-სიონი 3:2

მოტლანდია. პრემიერლიგა

კილმანროკი-ჰამილტონი 1:1
სტ.ჯონსონი-სტ.მირენი 2:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ინსბრუკი-აუსტრია 0:0
მატერსბურგი-ალტახი 1:1
ჰარტბერგი-შტურმი 2:0

ბელგია. 1 დივიზიონი

ვარეგემი-მუსკრონი 2:2
ლოკერენი-ოსტენდე 0:0
სერკლი-კორტრაიკი 1:1
სტ.ტრუიდენი-ბრიუგე 2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლარისა-ოფი 0:0
ლამია-ლევადიაკოსი 3:2

თურქეთი. სუპერლიგა

ერზრუმი-ქაშიმფაშა 1:1
ქონია-ბაშაქშეჰირი 0:1
ანთალია-ტრაბზონი 1:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

კარვინა-სიგმა 2:3
ბოლესლავი-ბოჰემიანსი 3:0
ოპავა-პრჟიბრჟამი 5:0
ზლინი-სპარტა 1:0

პოლონეთი. ექსტრაჯლასა

პლოცკი-პიასტი 1:1
ლეხია-არკა 2:1
პოგონი-ლეხი 3:0
დესნა-მარიუპოლი 2:0
არსენალი-შახტარი 0:3
ზორია-ოლეკსანდრია 0:0

დანია. სუპერლიგა

ჰორსენსი-ნორდსიელანდი 3:3

შვედეთი. ალსვენსკა

დალკურდი-ჰაკენი 0:5

ნორვეგია. ელიტსერია

სტრომგოდსეტი-ვალერენგა 2:0

ორი ოქრო აბუ დაბიდან

ქართველი ძიუდოისტები, ამირან პაპინაშვილი (60კგ) და ვაჟა მარგველაშვილი (66კგ), აბუ დაბის გრანდ სლემის გამარჯვებულები გახდნენ. არაბეთის გაერთიანებული საემიროების დედაქალაქში მიმდინარე ტურნირის პირველ დღეს ჩვენებურებმა 4-4 შეხვედრა დამაჯერებლად მოიგეს და ოქროს მედლები მოიპოვეს.

პაპინაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, ასპარეზობა მერვედფინალიდან დაიწყო და ბესლან მუდრანოვი იპონით დაამარცხა, მეოთხედფინალში იგივე იორე ვერსტრაეტენს გაუმეორა, ხოლო ნახევარფინალში – უზბეკ შარაფუდინ ლუტფილაევს. გადამწყვეტ შეხვედრაში ამირანმა ფრანსისკო გარიგოსი ასევე იპონით დაამარცხა, თუმცა – ოქროს დროში.

66 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მარგველაშვილმა ფინალამდე ნათონ ბარნსი (იპონი), დმიტრი შერშანი და იაკუბ შამილოვი (იპონი) დაამარცხა. ფინალურ შეხვედრაში ვაჟამ ყაზახ იერლან სერიკჟანოვს მოუგო.

17 წლამდე ნაკრების კრახი

რუსეთი-საქართველო 7:1

ვიბორგი. ვიბორგ სთედიუმი

1:0, 2:0 შამკინი (1, 22), 3:0, 4:0 შეტინინი (40, 56პ), 5:0 კრატკოვი (65), 5:1 აბუაშვილი (73), 6:1 შეტინინი (75პ), 7:1 კრატკოვი (76)

რუსეთი: ალექსეევი, ლოგაჩევი, კარპოვი (ნოვიკოვი 70), კოტინი, კონიუკოვი, სავინოვი (შმაკოვი 46), ავანესიანი (კრატკოვი 63), შამკინი (კოკოევი 58), მუტალიევი, შაპოვალოვი (გოლიატოვი 46), შეტინინი

საქართველო: ხარშილაძე (ხარატიშვილი 46), კვარაცხელია, ჭინჭარაული, ხვადაგიანი (ერაძე 77), მორჩილაძე, ბენდიანიშვილი (ხვედელიძე 46), ტალახაძე, ზურაბიანი (მირზიკაშვილი 56), აბუაშვილი, აზაროვი, ომარაშვილი (ოსიქმაშვილი 46)

საქართველოს 17 წლამდე ნაკრები ევროპის 2019 წლის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობას აგრძელებს, თუმცა ელიტ რაუნდში ვეღარ გავა. ზვიად ჯელაძის გუნდმა პირველ ტურში მასპინძელ დანიასთან იბრძოლა, 1:3 წააგო და თამაშიდან გამომდინარე იმედიც ჩაგვისახა, მაგრამ რუსეთთან ძალიან შერცხვა.

ანგარიშიდანაც ყველაფერი ნათლად ჩანს. რუსების უპირატესობა უდიდესი იყო პირველივე ტაიმში ყველაფერი გადაწყდა.

ორი ტურის შემდეგ 0 ქულა და ელიტრაუნდში გასვლის შანსი პრაქტიკულად დაკარგულია. მიუხედავად იმისა, რომ საუკეთესო მესამეადგილოსნებიც ხვდებიან ელიტრაუნდში, მაგრამ ბურთების ბალანსი იმდენად საშინელია, რომ შანსი, ფაქტობრივად, აღარ გვაქვს.

საქართველოს 17 წლამდე ნაკრები მესამე ტურის შეხვედრას ესტონეთის წინააღმდეგ ჩაატარებს.

ფაჩულია იგებს, შეგელია აგებს



გასაოცარია საქართველოს ნაკრების ყოფილი კაპიტნის ზაზა ფაჩულიას ახალი გუნდის, დეტროიტ პისტონსის კარგი სათამაშო ფორმა, რომელმაც ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო და 100%-იანი შედეგი ხელუხლებელი დატოვა.

მიჩიგანელების მორიგი მსხვერპლი კალათბურთის ლებრონ ჯეიმსის გარეშე დარჩენილი კლივლენდ კავალიერსი გახდა. საშინაო, კაესარს არენაზე, პისტონსმა მეტოქეს 110 ქულა ჩაუგდო, საკუთარ ფარში კი შვიდით ნაკლები მიიღო.

ქართველი ცენტრი გუნდის სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა და წინა შეხვედრებისგან განსხვავებით, პარკეტზე გაცილებით ნაკლები დრო – 10 წუთი გაატარა. ამ მოკლე პერიოდში მოქმედმა ჩემპიონმა კალათბურთელმა 2 ქულა, 2 მოხსნა და 3 ზუსტი პასი მოაგროვა.

თორნიკე შენგელიამ მიუნხენში ჩატარებულ ევროლიგის მატჩში საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა, თუმცა მისმა გუნდმა ისევ წააგო. ბაიერნმა ბასკონიას უმასპინძლა და ისე მოუგო, რომ შეხვედრა რეალურად არ დაძაბულა. გერმანულმა კლუბმა თავიდანვე მოიპოვა ლიდერობა და ესპანურ კლუბი ახლოს არ მიუშვა. საბოლოოდ მიუნხენელებმა 77:71 გაიმარჯვეს და თავად ხომ ლიდერებში გაერივნენ, შენგელიას გუნდი კი ფსკერისკენ გაუშვეს.

ქართველი ფორვარდი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 25 წუთში 16 ქულა, 6 მოხსნა, 2 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. თოკომ 5-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 8-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. შედეგად, ქართველი კალათბურთელის სარგებლიანობის კოეფიციენტი 29-ს გაუტოლდა და ეს, ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

ბასკონიას 1 მოგება და 3 მარცხი მოუგროვდა და 16-გუნდიან ევროლიგაში მე-14 ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი შინ თურქული დარუშაფაკას წინააღმდეგ ჩაატარებს.

შეიარაღებულმა მძარცველებმა ფეხმძიმე ქალს ლეკვები წაართვეს

დიდი ბრიტანეთში შეიარაღებული მძარცველები ფეხმძიმე ქალის ბინაში შეიჭრნენ და რვა ახალდაბადებული ლეკვი გაიტაცეს.

ინციდენტი დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ სტრედფორდში მოხდა. დანებით შეიარაღებული ორი მამაკაცი 26 წლის ექვსი თვის ფეხმძიმე ქალის ბინაში შეიჭრა და მთელი თავისი ფულის და მობილური ტელეფონის მიცემა მოსთხოვეს. ამასთან ისინი შვილების დახოცვით ემუქრებოდნენ.

მას შემდეგ, როდესაც ქალმა მათ მისცა ყველაფერი ღირებული, რაც კი გააჩნდა, მძარცველებმა ფრანგული ბულდოგის ახლად დაბადებულ ლეკვებს ხელი დაავლეს და გაიქცნენ.

ადგილობრივმა პოლიციამ მძარცველებზე ძებნა გამოაცხადა და მოსახლეობას თხოვნით მიმართა, აცნობონ თუ რაიმე იციან მათ შესახებ.

– საშინელებაა ის, რაც ფეხმძიმე ქალმა და მისმა სამმა პატარა ბავშვმა გადაიტანეს, ჩვენ ვაპირებთ ყველა დამნაშავე ვიპოვოთ და დავაპატიმროთ. ასევე ჩვენთვის პრიორიტეტულია ლეკვების მოძებნა. ისინი ძალიან პატარები არიან და დედის გარეშე დიდხანს ვერ გაძლებენ. მათი სახლში რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნებაა აუცილებელი, – განაცხადა დეტექტივმა დეივ ჯონსმა.

მაღაზიის გამყიდველმა ნაპოვნი საფულე პატრონს დაუბრუნა

ამერიკის ალაბამას შტატის ქალაქ ბირმინგემის მცხოვრებმა ქალბატონმა ისაუბრა იმის თაობაზე, რომ ახალგაზრდამ მას დაუბრუნა დაკარგული საფულე და ტელეფონი. შელია სპენსერის ისტორია ფეისბუქში გამოქვეყნდა.

ამ ისტორიის გმირი აღმოჩნდა მაღაზიის თანამშრომელი, სახელად ენტონი. სპენსერმა ურიკა მაღაზიასთან საგანგებო სადგომზე დატოვა და მხოლოდ სახლში შენიშნა, რომ ტელეფონი დაკარგა. მან ძებნა დაიწყო და მიხვდა, რომ ტელეფონის გარდა საფულეც აღარ ჰქონდა, რომელშიც 300 დოლარამდე ნაღდი ფული ედო.

ქალი მიხვდა, რომ საკუთარი ნივთები, სავარაუდოდ, მაღაზიაში დაკარგა, შემდეგ იქ დარეკა და თავისდა გასაკვირად აღმოაჩინა, რომ მისი დაკარგული ნივთები უკლებლივ იყო ნაპოვნი. სუპერმარკეტში მისულმა ნახა, რომ მთელი ფული, რაც საფულეში ედო, ადგილზე იყო.

აღმოჩნდა, რომ მოზარდმა, სახელად ენტონმა, ქალის დაკარგული ნივთები იპოვა და მენეჯერს მიუტანა, რათა მას მისი მფლობელი ეპოვა. ჯილდოს სახით სპენსერმა ყმაწვილს 100 დოლარი აჩუქა, ასევე დაურეკა დედამისს, რათა მისთვის პირადად გადაეხადა მადლობა, ასეთი კარგი შვილის გაზრდისთვის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კედელში ათასობით ადამიანის კბილი აღმოაჩინეს

ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ვალდოსტაში კედელში ჩაყოლებული ათასობით ადამიანის კბილი აღმოაჩინეს.

ისინი იპოვეს მშენებლებმა, რომლებიც ქალაქის ცენტრში ძველი შენობის აღდგენით სამუშაოებს აწარმოებდნენ. მეორე სართულზე კედელში ათასამდე კბილი იყო დამალული. ეს უკვე მესამე შემთხვევაა, როდესაც ჯორჯიის შტატში კედელში დამალული ადამიანის კბილები აღმოაჩინეს.

მხარეთმცოდნე ჰარი ევანსი ფიქრობს, რომ ისინი კედელში კბილის ექიმებმა დამალეს, რომლებიც ამ შენობაში მეოცე საუკუნის დასაწყისში მუშაობდნენ. 1900 წელს მისი აშენებისთანავე იქ პირველმა კბილის ექიმმა



კლარეს უიტინგტონმა დაიწყო მუშაობა. მოგვიანებით იქ დოქტორ ლესტერ იუმენზის კაბინეტი იყო განთავსებული. არც ისე დიდი ხნის წინ ანტიკვარულ მაღაზიაში გაიყიდა კბილის ამოღებისთვის გამოწერილი ქვითარი, რომელიც 1928 წლითაა დათარიღებული. ჯორჯიის სხვა ქალაქებში კედლებში აღმოჩენილი კბილები ასევე იმ შენობებში იყო დამალული, რომლებშიც ოდესღაც კბილის ექიმები მუშაობდნენ.

მოჩხუბარი კრაზანა და ტარაკანი გეკონმა გადასანსლა

სოციალურ ქსელებში სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს ვიდეო, რომელზეც კრაზანისა და ტარაკნის ორთაბრძოლაა ასახული.



ვიდეორგოლში ჩანს, რომ კრაზანა ახერხებს, ტარაკანი ზურგზე წააქციოს, ის კი ცდილობს, წამოდგეს და გაიქცეს, მაგრამ ფრთოსანი მწერი მას ზევიდან მოექცევა და ფეხებს აგლეჯს. ტარაკანი მთელი ძალით ცდილობს კრაზანის მოშორებას, მაგრამ უშედეგოდ.

იმ დროს, როდესაც უკვე აშკარა ხდება, რომ გამარჯვება კრაზანას რჩება, კარის ქვევიდან გეკონის თავი ჩნდება. ხვლიკი ორივე მწერს იმწამსვე იჭერს და ისევ თავის სამალავს უბრუნდება.

სიჯანვოხდი



1. ბევრ ცხიმში შემწვარი თევზი; 2. დილის ჰანგი; 3. იაპონელი მებრძოლი (ძველად); 4. სამიანი ნარდში; 5. სამხედრო ყაიდის ქურთუკი; 6. პატარა ზომის კენგურუ; 7. სანტა კლაუსის სამშობლო; 8. დენის წინაღობის ერთეული; 9. მხარე დასავლეთ საქართველოში; 10. ცხენის ნაირგვარი სვლა; 11. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 12. საომრად შეიარაღება; 13. მდინარე კახეთში; 14. სვანთა ქალღმერთი; 15. ჯადოქრობა, მისნობა; 16. 3-4 წლიანი ცხენების დოღი; 17. ასო „რ“-ს სახელწოდება; 18. კეთილთვისებიანი სიმსივნე; 19. ერთ-ერთი რელიგია; 20. მუთაქებიანი დივანი; 21. ხელოსანთა ამქრის უფროსი (ძვ.); 22. სპექტაკლის პირველი წარმოდგენა; 23. იაპონური ჭიდაობა; 24. ბერძნული ანბანის ასო; 25. თუთიყუში; 26. ... სიბელიუსი; 27. წონის ძველებური ერთეული; 28. თხელი გამჭვირვალე ქსოვილი; 29. ციხე-საპყრობილე პარიზში; 30. კოსმოსი დედამიწის ჩათვლით; 31. ალგორითმული ენა; 32. სტალონეს მეტსახელი; 33. ინგლისელი პოეტი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბეჟარი; 2. პიუზო; 3. სტადია; 4. კოპიჭი; 6. ბატისტა; 9. ბანკო; 11. ბალასტი; 15. ინტერპოლი; 16. ლეკალო; 17. პასკვილი; 19. იურმალა; 21. საყდარი; 22. აბრაგი.

თარაზულად: 5. სერფინგი; 7. ასპინძა; 8. ოპტიკა; 10. კანტონი; 12. ჭიუხი; 13. იჯარა; 14. რეკვიზიტი; 18. საბი; 20. ფელახი; 23. იბერია; 24. ყუმი; 25. ყულევი; 26. გალო; 27. არაბიკა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პლზენი; 2. რიშარი; 3. იტილი; 5. გემა; 6. თრიაქი; 8. ბორნეო; 11. აბსოლუცია; 13. მუტრუკი; 14. ქანქარა; 15. ფისკალი; 19. გორი.

თარაზულად: 1. პოლიქრომია; 4. გოლგოთა; 7. ბარნაშო; 9. ლაკოსტა; 10. ზაირი; 12. სინოპეკი; 16. ბოლივუდი; 17. ეტალონი; 18. იქთიოლოგი; 20. იაგუარი; 21. თითა; 22. კოსტიოლი.

ასტროპროგნოზი

29 ოქტომბრისათვის

ფერძი – ფიზიკური დატვირთვა, ხალხთან ურთიერთობა და აქტიური დასვენება სასიკეთოა. კეთილისმყოფელი დღეა ახალი ნაცნობობისა და საყოფაცხოვრებო საკითხებისათვის. **კურო** – გაერთეთ ოჯახის წევრებთან ერთად. ძალზე მშვიდი და ჰარმონიული პერიოდია ნებისმიერი კუთხით. **ტყუპები** – კომერციული საქმიანობისათვის შეუფერებელი დღეა. პროფესიულ სფეროში სიძნელეები შეგხვდებათ. ხარჯები შეამცირეთ. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას პრობლემებია მოსალოდნელი. ემოციები აკონტროლეთ. **ლომი** – მამაკაცებს ტალანტის წარმოჩენის შანსი გეძლევათ. ნებისმიერი საქმე მთელი სერიოზულობით აკეთეთ. **ქალწული** – შეგიძლიათ, საქმიანობის სფერო თამამად შეიცვალოთ. ბედი გწყალობთ ყველგან და ყველაფერში. ახალ შემოთავაზებაზე უარს ნუ იტყვით. **სასწორი** – როგორც საკუთარი, ისე საქმიანი პარტნიორების შესაძლებლობები ადეკვატურად შეაფასეთ. ნუ აჰყვებით ილუზიებსა და ცრუ დაპირებებს. **ღრიანცელი** – განეწყვეთ ოპტიმისტურად. დასამახსოვრებელი, ჰარმონიული დღეა. გარშემომყოფებისაგან კეთილგანწყობას გრძნობთ. **მშვილდოსანი** – საყიდლებზე წასასვლელად კარგი პერიოდია. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით. პირად ცხოვრებაში სპონტანურობა დაუშვებელია. **თხის რქა** – ყურადღება გმართებთ საქმიან შემოთავაზებებთან დაკავშირებით. თუ თქვენთვის მაქსიმალურად ხელსაყრელ წინადადებას არ მიიღებთ, უარი თქვით. **მერწყული** – ახალი საქმის დაწყება გაამართლებს. ასევე შესაფერისი დღეა ჯანმრთელობის პროფილაქტიკისათვის. **თევზები** – თუ რეალობას ადეკვატურად მიიღებთ, წარმატება გარანტირებული გექნებათ. გაიფართოვეთ ინტერესების სფერო.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ირაკლი ნოზაძე „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ

ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრი ირაკლი ნოზაძე ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს ბრალდებებს უყენებს.

მომღერალმა სოციალურ ქსელში განაცხადა, რომ მან მონაწილეობა მიიღო ტელეკომპანიის ერთ-ერთ გადაცემაში „ფარული კონვერტი“, სადაც მან 5.900 ლარი მოიგო.

პიკასოს თქმით, იგი ნიკა გვარამიამ კარგად დაიმახსოვრა, რადგან არც გადაცემა გასულა ეთერში და არც მოგებული თანხა მიუციათ.

ირაკლი ნოზაძე:

– როგორც ჩანს, ნიკა გვარამიამ კარგად დამიმახსოვრა!

კიდევ ერთი ამბავი სად არის სიმართლე, ევროპა, დემოკრატია...

ცოტა ხნის წინ რუსთავი 2-ის პროექტ „ფარულ კონვერტში“ 5.900 ლარი მოვიგე. გადაცემა რამდენიმე დღეში ეთერში უნდა გასულიყო. როცა დავინტერესდი და დავრეკე, მითხრეს, მომავალ ორშაბათს გავაო. მერე არჩევნებია და ეთერში არ გადისო.

სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კლიპში გამოჩენისთანავე დამიკავშირდა გადაცემის ერთ-ერთი პროდიუსერი ეკა და მითხრა, ფული სალომემ გადაგიხადოსო!

ამას ვამბობდი, სწორედ ეს არის სწორი საქციელი, ევროპაც და მათი თვალით დანახული დემოკრატიაც.

მიუხედავად იმისა, რომ ვმეგობრობ ამ გადაცემის პროდიუსერებთან და ვაფასებ მათ ნიჭიერებასა და მეგობრობას, მაინც ძალიან მეწყინა.

ბევრი ფული ნამდვილად არ მაქვს, თუმცა, რადგან ასეა, მირჩევნია, ეს 5.900 ლარი რუსთავი 2-ელებმა გაინაწილონ!“

ირაკლი ნოზაძის ბრალდებებს გადაცემა „ფარული კონვერტის“ მთავარი პროდიუსერი ალეკო მალხაზიშვილი გამოეხმაურა:

– სამწუხაროა, რომ პოსტით მიწევს პასუხის გაცემა, იმიტომ რომ ზოგადად არ მიყვარს ახლობლებთან ეპისტოლარული ჟანრით საუბარი, მაგრამ, რადგან შენ ეს გზა აირჩიე, მეც აქ მოგწერ, როგორც „ფარული კონვერტის“ მთავარი პროდიუსერი...

წინასაარჩევნოდ გადაცემა „ფარული კონვერტი“ შეჩერდა იმის გამო, რომ საეთერო დრო დაიკავა „არჩევანმა“ და ნოემბრიდან ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება სარეკლამო ბადე. მარტო შენი ჩანაწერი არ შეჩერებულა, თან გაცილებით ადრე, ვიდრე სარეკლამო ტიხარში გიხილავდით. შენ გარდა დათო ევგენიძე, ასმათ ტყაბლაძე და ეკა ჩხეიძეც ჩაწერილია და ელოდებიან ეთერს, რომელიც განახლდება ნოემბერში.

პროდიუსერ ეკასაც შენთან არ დაურეკავს და, ცოტა არ იყოს, უცნაურია ეს შენი პოსტი, მაგრამ უცნაურობა ეგრევე გაქრება იმ ფაქტით, თუ აღიარებ, რომ სალომემ უკვე გადაგიხადა ფული, ეს რომ დაგეწერა. რავი, ირაკლი, ჩემი ნომერი კი იცი და შეგეძლო, ჩემთან დაგერეკა და გაგერკვია, სანამ ამ დეზინფორმაციას გაავრცელებდი.

ირაკლი ნოზაძის ბრალდება უპასუხოდ არ დატოვა არც იმ პროდიუსერმა ეკამ, ეკატერინე გვახარიამ, რომელიც მომღერალმა დაადანაშაულა:

– პიკასო, მე ვარ „ფარული კონვერტის“ ერთ-ერთი პროდიუსერი ეკა... როგორ გაბედეთ ამხელა ტყუილის დაწერა?! მე თქვენთან არასდროს მისაუბრია. გაასაჯაროვეთ ტელეფონი, რა ნომრიდანაც დაგირეკეს! აუცილებლად დავადგენ სიმართლეს და ამ ცილისწამებას არ გაპატიებთ!

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეები პროექტიდან გაშვებული თანამშრომლების დაბრუნებას ითხოვენ

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეები პროექტიდან გაშვებული თანამშრომლების დაბრუნებას ითხოვენ და ტელეკომპანია „იმედის“ ხელმძღვანელობას საჯაროდ მიმართავენ:

– „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეები, მოცეკვავეები და შემოქმედებითი ჯგუფი ვაქვეყნებთ ერთიან განცხადებას: მოვითხოვთ, ტელეკომპანია იმედის ხელმძღვანელობამ სამსახურში აღადგინოს ყველა გაშვებული თანამშრომელი, ვინაიდან ვთვლით, რომ მათი გაშვება მოხდა უსამართლოდ და პროექტში უხეშად ჩარევის ფორმით.

უსამართლოდ პროექტიდან გაშვებულთა შორისაა პროექტის ხელმძღვანელიც. ვთვლით, რომ ეს არის შემოქმედებითი ჯგუფის საქმიანობისთვის ხელოვნურად ხელის შეშლა და გარკვეული პირების ინტერესების გატარება პროექტის საწინააღმდეგოდ.

ასევე მოვითხოვთ ტელეკომპანიის მფლობელებთან და არა დირექტორატთან შეხვედრას. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ვაპირებთ პროექტში დარჩენას.

ლაშა ბასლანძეს საქართველოდან წასვლა სურს

პროდიუსერ ლაშა ბასლანძეს საქართველოდან წასვლა სურს. დაყოფილმა ერმა და ბავშვების ხოცვით შეწუხებულმა პროდიუსერმა გადაწყვიტა, რომ საქართველოდან აუცილებლად წავა:

– სანამ იმისიან-ამისიანობა არ მორჩება და ერი ქვეყნისიანი არ გახდება, მანამდე არაფერი გვეშველება... რა აფხაზეთი და ოსეთი?! ჩვენ გვძულს ერთმანეთი და იმათ რატომ ვთხოვთ სიყვარულს? ტ.აკში ვართ, მეგობრებო... ტ.აკში! ბოღმა და შური გაგვიჯდა სისხლში... მე ჩემს შვილებს ამ საზიზღრობას აუცილებლად მოვაშორებ!

„დედეს“ ვაშინგტონის უნივერსიტეტში აჩვენებენ



მსოფლიოს წამყვან კინოფესტივალებზე წარდგენისა და არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდოს მოპოვების შემდეგ მარიან ხაჭვანის ფილმი „დედე“ უცხოეთში მოგზაურობას განაგრძობს.

ევროპის კინოთეატრებში ჩვენების პარალელურად, 14 ნოემბერს ფილმს ვაშინგტონის უნივერსიტეტში აჩვენებენ.

„დედე“ სვან გოგოზე მოგვითხრობს, რომელიც სიყვარულისთვის იბრძვის და იმარჯვებს კიდეც. „დედეს“ გადაღებები სვანეთში, ყაზბეგსა და კასპში მიმდინარეობდა. ფილმში პერსონაჟები ძირითადად სვანურ ენაზე საუბრობენ.

„დედე“ 1992 წელს, პოსტსაბჭოთა საქართველოში სამოქალაქო ომის შემდეგ იწყება. გეგი, რომლის როლსაც გიორგი ბაბლუანი თამაშობს და დავითი, რომლის როლსაც ნუკრი ხაჭვანი ასრულებს, არიან ძმები, რომლებიც სვანეთის მაღალ თოვლიან მწვერვალზე, სახლში ბრუნდებიან.

გეგიმ დავითის სიცოცხლე ბრძოლის ველზე გადაარჩინა და, როგორც პატივსაცემი სტუმარი, დინას, რომლის როლსაც ნათია ვიბლიანი თამაშობს, ქორწილშია მიწვეული. მაგრამ ბედისწერით დინასა და გეგის ერთმანეთი შეუყვარდებათ ისე, რომ ერთმანეთის სახელებიც კი არ იციან.

დინა ცდილობს, დაარღვიოს ჩაწყობილი ქორწინება დავითთან, რა შემთხვევაშიც ორივე ოჯახს შერცხვენა ემუქრება.

„ქალს არ აქვს სიტყვის თქმის უფლება. მაშინაც კი, თუ მთელი შენი სიცოცხლე გეძულები, მაინც ჩემზე იქნები დაქორწინებული“, – უთხრა დავითმა.

დავითმა გეგის საკუთარი სიცოცხლე შესწირა, მაგრამ არა – ცოლი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დემნა გვასალია: „კოლექციებს ბუნებაზე არ ვაკეთებ“



ქართველი დიზაინერი დემნა გვასალია მსოფლიო მოდის ყურადღების ცენტრშია. მასთან ინტერვიუებს წერენ წამყვანი მოდის ჟურნალები.

ერთ-ერთი უცხოური გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში დემნამ თავის წარმატებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ კოლექციებს ბუნებაზე არ აკეთებს:

– მე კოლექციებს ბუნებაზე არ ვაკეთებ, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ბუნების აღქმა სიმსუბუქის შეგრძნებას მმატებს, უკეთესად ვქმნი. თითქმის ყოველთვის სილამაზის იდენტიფიცირებას თავისუფლებასთან ვახდენდი.

ახლახან დავიწყე განსხვავებული ტიპის სილამაზის დაფასება. უფრო ბევრს ვხედავ ბუნებაში. ამდენი მართლა არ ვიცოდი, დაკავებული ვიყავი პარიზში ქლაბერობით და დიდი ზომის ქურთუკების შექმნით. გამოვედი პარიზიდან და უეცრად აღმოვაჩინე, რომ ბუნება არსებობს და ის ლამაზი და ძლიერია“.

მდიდარმა ჩინელმა შეყვარებულს ხელი, გული და ლამბორჯინი შესთავაზა

ჩინეთში გოგონამ უარი უთხრა შეძლებულ მამაკაცს, რომელმაც ხალხის თვალწინ ცოლობა სთხოვა და საჩუქრად ძვირადღირებული ავტომობილი მიართვა.

მამაკაცმა თავისი შეყვარებული ხალხმრავალ მოედანზე დაპატიჟა, სადაც საჩუქრები იყო გამზადებული, მათ შორის ნარინჯისფერი ლამბორჯინიც. როდესაც გოგონა ადგილზე მივიდა, მან მის წინ დაიჩოქა, ვარდების თაიგული გაუწოდა და ცოლად გაყოლა სთხოვა. გოგონა წამით დაფიქრდა, შემდეგ კი უპასუხა: „მაპატიე, არ მინდა“.

– კი მაგრამ, მე ფული მაქვს! – არ ნებდებოდა მამაკაცი, – შემიძლია იმდენი ავტომობილი გიყიდო, რამდენსაც მოისურვებ.

მან გოგონას ხელი ხელში ჩაავლო და გაუმეორა: „ცოლად გამომყევი, ცოლად გამომყევი.“

– და მერე რა, რომ ბევრი ფული გაქვს! – წამოიძახა გოგონამ, ხელი გაითავისუფლა და სწრაფი ნაბიჯებით გაშორდა, თავის დაქალთან ერთად.

მეგობრები უშედეგოდ ცდილობდნენ უარყოფილი შეყვარებულის დაწყნარებას. მან ყვავილების თაიგული ერთ-ერთ პიროვნებას ესროლა, რომელიც ამ ყოველივეს ვიდეოზე იღებდა, შემდეგ კი ნიშნობისთვის წინასწარ გამზადებული ნაგებობების დამტვრევას შეუდგა.

ექიმმა ავადმყოფისგან ფული ისესხა და შემდეგ ჭკუასუსტად გამოაცხადა

ამერიკის ტენესის შტატში ექიმს ბრალს დებენ იმაში, რომ მან ხანდაზმული პაციენტი ქალბატონისგან ფული ისესხა, შემდეგ კი ის ჭკუასუსტად გამოაცხადა, რათა ფული არ დაებრუნებინა.

ტენესის დისციპლინარულმა ორგანომ, რომელიც მედიცინის მუშაკების საქმიანობას ადევნებს თვალს, განიხილა 79 წლის სუელენ ლისთვის წაყენებული ბრალდება. მის თანახმად, მან თავისი ხანდაზმული ნაცნობის და კოლეგისგან, რომელიც მასთან 25 წლის განმავლობაში მკურნალობდა, 300 ათასი დოლარი ისესხა. როდესაც ქალმა მას ფულის დაბრუნება მოსთხოვა, ლიმ მას დემენციის დიაგნოზი დაუსვა. მოგვიანებით ფსიქოლოგმა ქალს დემენციის კვალი ვერ აღმოუჩინა. ამის შემდეგ გაჩნდა იმის ეჭვი, რომ ექიმმა ასეთი დიაგნოზი იმისთვის დასვა, რომ ფულის დაბრუნებისთვის თავი აერიდებინა.

ლი დათანხმდა ჩაებარებინა სამედიცინო საქმიანობის საკუთარი ლიცენზია და ჯარიმის სახით 2 ათასი დოლარი გადაეხადა. ამ ყოველივეს მიუხედავად ის ამტკიცებს, რომ პაციენტი მას ცრუ ბრალდებას უყენებს, რომ ეს თანხა მან ისესხა არა ახლა, არამედ 20 წლის წინ და რომ მას მრავალი წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ უხდიდა. რაც შეეხება დიაგნოზს, მისი მტკიცებით, მან ის ქალს ორი წლის წინ დაუსვა და მაშინ ამის ყველანაირი საფუძველი არსებობდა.

ჯალეიდოსკოპი

ბიჭმა 32 თანაკლასელი დაპატიჟა, მაგრამ მარტო დარჩა

ამერიკის არიზონას შტატის ქალაქ ტუსონში მცხოვრებმა ექვსი წლის ბიჭმა, სახელად ტედიმ, თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად ორგანიზებულ წვეულებაზე თანაკლასელები დაპატიჟა, მაგრამ არავინ მივიდა.

ბავშვის დედამ სილ მაძინიმ ერთ-ერთ ადგილობრივ გამოცემასთან საუბარში განაცხადა, რომ მის

შვილს დაბადების დღე 3 ოქტომბერს ჰქონდა, მაგრამ იმის გამო, რომ მამამისი ალასკაზე მუშაობს, წვეულება 21 ოქტომბრისთვის გადაიტანეს. თანაკლასელებისთვის ტედიმ 32 სასაჩუქრე პაკეტი გაამზადა, რომლებშიც წვეულებაზე მისაწვევი იყო ჩაწყობილი. მისი თქმით, წვეულების წინა დღეს ზოგიერთი მშობელი საღამოზე მისვლას შეპირდა, მაგრამ საბოლოოდ არავინ მისულა.

ტედის ფოტოსურათი გადაღებული ადგილობრივ პიცერიაში ცარიელ მაგიდასთან, რომელიც ბავშვის დედამ გამოაქვეყნა, ვირუსული გახდა. შედეგად ადგილობრივმა კალათბურთის კლუბმა „ფინიქს სანსამა“ და ფეხბურთის კლუბმა „ფინიქს რაიზინგმა“ ბავშვს და მის ოჯახს თავიანთ მატჩებზე დასასწრები უფასო ბილეთები შესთავაზეს.

იაპონელებს კარგად ძილში ფულს გადაუხდიან

ერთ-ერთი იაპონური კომპანიის თანამშრომლებს, რომლებიც ქორწილების ორგანიზებით არიან დაკავებული, კარგად ძილისთვის დააჯილდოვებენ.

იმისთვის, რომ წახალისება მიიღონ, დღე-ღამეში მინიმუმ ექვსი საათი უნდა ეძინოთ, კვირაში ხუთი დღის განმავლობაში. ამისთვის მათ ქულები დაერიცხებათ, რომლის სასადილოში სადილზე გადაცვლა შეეძლებათ. ასეთი სახით მთელი წლის განმავლობაში საჭმელზე 64 ათასი იენის გამომუშავება იქნება შესაძლებელი. ძილის დროის გაკონტროლება სმარტფონში ჩატვირთული სპეციალური პროგრამით მოხდება.

ეს ინიციატივა კომპანიის დამაარსებელ კაზუხირო მორიამის ეკუთვნის, რომელიც მიიჩნევს, რომ კარგად დასვენებული თანამშრომლები უკეთ შრომობენ.

– თანამშრომლებს შეღავათები უნდა ჰქონდეთ გარანტირებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკას რეცესია ემუქრება, – განაცხადა კაზუხირო მორიამიმ.

ავსტრალიელმა წყვილმა სამაგიდო თამაშში დამალული ბრილიანტები აღმოაჩინა

ავსტრალიელმა წყვილმა, რომელიც რამდენიმე თვის წინ კანადის ქალაქ ტორონტოში გადავიდა საცხოვრებლად, ძველი სამაგიდო თამაშის ყუთში სამალავი იპოვა, რომელშიც ძვირფასეულობა იყო დამალული.

ძვირფასეულობა 27 წლის კრის ლაიტფუტმა და მენდი ფლეკმა იმ დროს აღმოაჩინეს, როდესაც მათ მშობლები სტუმრობდნენ.

– ვიფიქრე, რომ მათი სტუმრობის დროს ქეიფი და დროსტარება არ გველოდა და ამიტომ აჯობებდა, საკომისიო მაღაზიაში შემევლო და რომელიმე ძველი სამაგიდო თამაში შემეძინა, – განაცხადა კრისმა.

მან არჩევანი თავსატეხ მინდტრაპზე შეაჩერა, რომელიც სულ რაღაც ორი დოლარი ღირდა. თამაშის დაწყების შემდეგ ყუთში ორმაგი ფსკერი აღმოაჩინეს, რომელშიც ექვსი ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი იყო დამალული. მათი ადრინდელი მფლობელის პოვნა ვერ მოხერხდა, ამიტომ წყვილმა გადაწყვიტა, ნაპოვნი იუველირისთვის ეჩვენებინათ. მისი შეფასებით, ორი ყველაზე ძვირფასი ბეჭედი ხუთ-ხუთი ათასი დოლარი ღირს, ხოლო ექვსივე ბეჭდის საერთო ღირებულება, მინიმუმ, 18 ათას დოლარს შეადგენს.

წყვილმა გადაწყვიტა, რომ ძვირფასეულობა შავი დღისთვის შემოინახონ, თუმცა კრისს იმედი აქვს, დადგება დრო, როდესაც მათში აღებული ფული სანუკვარი იახტის შეძენაში დაეხმარება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 ოქტომბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6986	ევრო — 3.0632
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4512	100 რუსული რუბლი — 4.1018

ამინდის პროგნოზი 29 ოქტომბრისთვის

ლონდონის პარკში ირემი გოგონას თავს დაესხა

ლონდონის პარკ ბუშიში ირემი თავს დაესხა და დააშავა შვიდი წლის გოგონა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

თვითმხილველთა თქმით, ბავშვი პარკში მოზრდილებთან ერთად იმყოფებოდა. მათ ყურადღება არ მიაქციეს გამაფრთხილებელ ნიშნებს, რომელიც აფრთხილებდა დამთვალიერებლებს, რომ გარეულ ირემს ფოტოსურათის გადასაღებად არ მიახლოებოდნენ. ცხოველმა გოგონას ურქინა და თეძო დაუზიანა.

ექიმებმა, რომლებიც ადგილზე შვეულმფრენით მივიდნენ, ბავშვს პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს, რის შემდეგაც ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

აღნიშნული თავდასხმა ირმების შეწყვილების დროს მოხდა, როდესაც მამრები ორთაბრძოლებს აწყობენ მდედრთან შეწყვილების უფლების მოსაპოვებლად. ჩვეულებრივ ამ დროს ისინი მეტად აგრესიულები არიან.

ნორვეგიის მომავალი დედოფალი განუკურნებელი სენით არის დაავადებული

ნორვეგიის პრინცესა მეტე-მარიტმა, ნორვეგიის ტახტის მემკვიდრე პრინც ჰააკონის მეუღლემ, ისაუბრა მისთვის დასმული უკურნებელი სენის დიაგნოზის შესახებ.

ექიმებმა მას ფილტვების ფიბროზის უჩვეულო ფორმა აღმოუჩინეს. მის დროს ფილტვებში წარმოიქმნება წანაზარდები, რომლებიც სუნთქვის გაძნელებას იწვევს. დიაგნოზი პრინცესას ადრეულ სტადიაში დაუსვეს.

მეტე-მარიტმა აღნიშნა, რომ მომავალში შესაძლოა მას ნაკლებად მოუხდეს სამეფო მიღებებში მონაწილეობა. თუმცა ამჟამად ის არ აპირებს მუშაობაზე უარის თქმას.

– ჩემი მიზანია მუშაობის გაგრძელება და რაც შეიძლება ხშირად მივიღო მონაწილეობა ოფიციალურ ღონისძიებებში, – განაცხადა ნორვეგიის პრინცესამ.

მეტე-მარიტი ადრე ოფიციანტად მუშაობდა და თავისი ყოფილი ნარკომოვაჭრე მეუღლისგან შვილი ჰყავს. მან ნორვეგიის ტახტის მემკვიდრე პრინცი ჰააკონი 1990-იან წლებში მუსიკის ფესტივალზე გაიცნო, ხოლო 2001 წელს დაქორწინდნენ.

დღეისთვის ფიბროზის ეფექტური მკურნალობა არ არსებობს, ასევე მის მიერ გამოწვეული ცვლილებები შეუქცევადია. წამლებს დაავადების განვითარების მხოლოდ შენელება შეუძლია, ხოლო ინგალატორები უბრალოდ ამსუბუქებს სიმპტომებს. საბოლოოდ ის დაავადებულის გარდაცვალების მიზეზი ხდება.

პოპულარულმა მსახიობმა საკუთარი ძმა გაყიდა

პოპულარულმა ჰონგკონგელმა მსახიობმა ჯორდან ჩანმა აღიარა, რომ მრავალი წლის წინ მისმა მშობლებმა მისივე წინადადებით მისი ერთ-ერთი ძმა ფულის სანაცვლოდ გააშვილეს.

ჩანი ჩინეთის გუანდუნის პროვინციის ერთ-ერთი სოფლის ღარიბ ოჯახში დაიბადა. მშობლები პატარაობიდანვე ამუშავებდნენ მათ მინდორში და ნახირის მწყემსვას ავალებდნენ. იმისთვის, რომ ბავშვი სათამაშოდ არ გაქცეულიყო, მას ჯაჭვით აბამდნენ. როდესაც ოჯახი საცხოვრებლად ჰონგ კონგში გადავიდა, მას სწავლის მიტოვება და ღატაკთა უბანში ცხოვრება მოუხდა. ოჯახს ხშირად არ ჰყოფნიდა ფული საკვების შესაძენადაც კი.

ერთხელაც მომავალმა მსახიობმა მშობლებს უმცროსი ძმის გაშვილება შესთავაზა. ის ფიქრობდა, რომ მისი ძმა თავს გაცილებით უკეთ იგრძნობდა მდიდრულ ოჯახში, რომელიც მას იშვილებდა, ხოლო მათ არ აწყენდათ ფული, რომელსაც ბავშვის გაშვილებაში გადაუხდიდნენ. ამ იდეამ ჩანის მშობლები უკიდურესად გააღიზიანა და მას სცემეს კიდეც, თუმცა მოგვიანებით დაეთანხმნენ, რადგან სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავდნენ.

მათ მოახერხეს მდიდარი ოჯახის პოვნა, რომელიც დათანხმდა, რომ ბავშვში სამი ათასი ჰონგკონგური დოლარი გადაეხადა. მსახიობი აცხადებს, რომ დღემდე ნანობს ამ საქმეში საკუთარი როლის გამო. როდესაც წამოიზარდა, გაშვილებული ძმის პოვნას შეეცადა, თუმცა – უშედეგოდ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

სიკვდილის პირას მყოფი ქმარი ცოლს ეკითხება:

– ჩემ უკანასკნელ თხოვნას შეასრულებ?

– რა თქმა უნდა, ძვირფასო.

– გთხოვ, რომ ჩემი გარდაცვალებიდან ექვსი თვის შემდეგ მიტოს გაჰყევი ცოლად.

– კი მაგრამ, მეგონა, რომ მას დასანახად ვერ იტანდი.

– და მერე, როგორ...

●●●

შვებულებიდან დაბრუნებული ორი თანამშრომელი საუბრობს. ერთი მეორე ეკითხება:

– სად დაისვენე?

– ხმელთაშუა ზღვაზე. ძაან მაგარია: დაივინგი, დანსინგი, შოპინგი... და შენ?

– ხაშურში. იქაც არა უშავდა: ღვინინგი, ჩხუბინგი, ხაშინგი...

●●●

სომეხმა შვილი მეზობელთან ჩაქუჩის სათხოვნელად გააგზავნა:

– წადი, შვილო, აშოტას ჩაქუჩი გამოართვი.

ცოტა ხანში ბავშვი დაბრუნდა და ეუბნება:

– მამი, ასე მითხრა, არა მაქვსო.

– მაგის „კრიჟანი“ დედა ვატირე, წადი, შვილო, ჩვენი ჩაქუჩი მომიტანე.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– სექსის დროს ქმრისთვის თვალებში თუ ჩაგიხედია?

– ჰო, ერთხელ, კარი შემოაღო და...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– როგორ გავიგო, ჩემს შეყვარებულს ჩემამდე ვინმე ჰყავდა თუ არა?

– მის დაქალთან დაწექი!

●●●

ტელეფონის ზარი:

– ალო, უშიშროების სამსახურიდან გირეკავთ.

– ვიცი.

– საიდან?

– გამორთულ ტელეფონზე მირეკავთ.

●●●

კაცს ნათესავი ესტუმრა. ის გაუმასპინძლდა, რითიც კი შეეძლო. სტუმარი გამოთვრა და სახლში წასვლას ვერ ხვდება, ბოლოს სიმღერა წამოიწყო:

– ვაი ვეღარ ვხედავ მზეეს...

– ვეღარც ჭიშკარს, ძამა?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

მამამ შვილებს კოკა-კოლა დაალევინა და ციხეში აღმოჩნდა

საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟის მცხოვრებს, რომელიც თავის შვილებს მხოლოდ კოკა-კოლას აძლევდა დასალევად, სამი თვით პატიმრობა მიესაჯა.

მსჯავრდებულმა არ იცის არც წერა და არც კითხვა, ხშირად სცემს ცოლსა და ბავშვებს და სახელმწიფო შემწეობაზე ცხოვრობს.

– მათ არ აქვთ მაცივარი, ბავშვებს მატრასებზე ზეწრის გარეშე სძინავთ, – განაცხადა სასამართლოზე ბრალმდებელმა.

მას შემდეგ, რაც მამაკაცმა მთელი ფული ალკოჰოლში დახარჯა, ის ბავშვებს დასალევად მხოლოდ კოკა-კოლას აძლევდა. ასეთი რამ არაერთხელ მოხდა.

– მამა ბავშვებს მხოლოდ ორცხობილითა და კოკა-კოლათი კვებავდა, – განაცხადა ბრალმდებელმა.

ზედმეტი ტკბილეულის გამო ოთხი წლის უფროს ბავშვს შვიდი მტკივანი კბილის ამოღება დასჭირდა. მეორე ბავშვი უკვე სამი წლისაა, მაგრამ ამ დრომდე ლაპარაკი არ დაუწყია.

ფეხმძიმე ცოლმა მომაკვდავი ქმარი გადაარჩინა და იმშობიარა



ამერიკის მინესოტის შტატის ქალაქ უესტ-სენტ-პოლში ქალმა მომაკვდავი მეუღლე გადაარჩინა და ბავშვი გააჩინა, როდესაც მისი მეუღლე კომიდან გამოვიდა.

ეშლი გეტე ფეხმძიმობის 39-ე კვირაში იმყოფებოდა, როდესაც ის მეუღლემ გააღვიძა, რომელსაც სული ეხუთებოდა. ქალმა მაშინვე 911-ზე დარეკა და სიტუაცია აუწერა. დისპეტჩერის რჩევით ქალი ადგილზე სასწრაფოს მისვლამდე მეუღლეს ხელოვნურ სუნთქვასა და გულის მასაჟს უკეთებდა.

მამაკაცი საავადმყოფოში ხელოვნურ კომაში გადაიყვანეს, რათა ტვინის დაზიანება თავიდან აეცილებინათ. ცოლმა მოასწრო მისთვის ეთქვა, რომ სანამ მას გონება არ დაუბრუნდებოდა, არ იმშობიარებდა. მამაკაცი გონს მეუღლის მშობიარობამდე მცირე ხნით ადრე მოვიდა. მან შეძლო, მათთვის მობილური ტელეფონის დახმარებით ედევნებინა თვალი, რისი საშუალებაც მას ცოლისდამ მისცა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 5. საფოსტო კარეტა ძველად; 7. ბრალდებულის წამება გახურებული შანთით; 8. ურანის თანამგზავრი; 10. ერთგვარი ყავა; 12. გასანათებელი ხელსაწყო; 13. პოეტ-მომღერალი შუა აზიაში; 14. ფრანგული ვაშლის ღვინო; 18. მოხარშული ცომის ნაჭრები; 20. ჰიგიენური საშუალება; 23. მლაშე კრისტალური ნივთიერება; 24. ცხოველთა მეფე; 25. ზღაპრული ცხენი; 26. პირობითი ნიშნების სისტემა; 27. სხვადასხვა პროცესის რაოდენობრივი დამოკიდებულების ნახაზი.

შვეულად: 1. ნახატი ზღვის ხედით; 2. ბოსტნეული მცენარე; 3. ლომების ოჯახი; 4. ფარმაცევტული პრეპარატების სინთეზირებისას გამოყენებული ორგანული ნაერთი; 6. ლექსის სიტყვებზე დაწერილი პატარა ვოკალური ნაწარმოები; 9. ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი; 11. ხელოვნური ბოჭკო; 15. ქანქარის უდიდესი გადახრა წონასწორობიდან; 16. სახელმწიფო აზიაში; 17. საერთო სახურავის მქონე კოლონების მწკრივი; 19. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 21. მარილნახშირმჟავა მინერალური წყალი; 22. უეცარი შიში, ელდა.

შეადგინა ოლივერ კოხიამ